საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფაფიულებით და ჭიჭებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 14 დეკემბერი. 2016 წ. №233 (8125), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გია ვოლსკი: პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება უპირისპირდება სახელმწიფოს ინტერესს!

საქართველოს პრეზიდენტი არ ქმნის არანაირ ალტერნატიულ კომისიას, — ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, პრეზიდენტი მაქსიმალურად უზრუნველყოფს საკონსტიტუციო ცვლილებებში ხალხის ჩართულობას და უზრუნველყოფს იმას, რომ პარლამენტამდე მივიდეს ხალხის ხმა, რაც არის მთავარი დანიშნულება კონსტიტუციის გადასინჯვისა.

„საქართველოს კონსტიტუციაში კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურას განსაზღვრავს 102-ე მუხლი, რომლის მეორე პუნქტი ამბობს: „კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის.“ ეს არის ერთადერთი აუცილებელი იურიდიული ნორმა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესში საზოგადოების ფართო ჩართულობას. სწორედ ამ პროცესის მაქსიმალურად გააქტიურებას და ამუშავებას შეუწყობს ხელს საქართველოს პრეზიდენტი“, — აღნიშნა ეკა მიშველაძემ.

პრესსპიკერის განცხადებით, პრეზიდენტს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ქართულ კონსტიტუციონალიზმს აქვს კონსტიტუციის კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებზე მორგების სამწუხარო ტრადიცია, რისი თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება, ბალანსისა და გაწონასწორების მექანიზმების ამუშავებაა.

პრეზიდენტის გადაწყვეტილება — არ მიიღოს მონაწილეობა საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში, უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ შეაფასა და განაცხადა, რომ პრეზიდენტი ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფოს ინტერესს უპირისპირდება.

„მოწვეული სპეციალისტები, არასაპარლამენტო პარტიები იქნება ჩართული და ამას ყველაფერს უხელმძღვანელებს პარლამენტი. ამაში არათუ საწყენი არ უნდა იყოს არაფერი, არამედ ვისაც შეუძლია და მათ შორის, პრეზიდენტის მხრიდან უნდა იყოს სრული მხარდაჭერა. ეს იქნება ქვეყნისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება. დანარჩენი ყველა გადაწყვეტილება არის ის, რაც უპირისპირდება სახელმწიფოს ინტერესს“, — განაცხადა ვოლსკიმ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი **ირმა ინაშვილი** მიიჩნევს, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის კინკლაობა უნდა დასრულდეს. ინაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის ფორმატში ყველა უნდა იყოს ჩართული.

„საბავშვო ბაღი ხომ არ არის, რომ პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის მუდმივი კინკლაობა იყოს? საჭიროა, ქვეყანა კრიზისულ ვითარებაში ვმართოთ, რაც ეხება პრეზიდენტსაც, პრემიერსაც და პარლამენტსაც. კინკლაობას თავი უნდა დავანებოთ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციას საშუალება ჰქონდა, ამ ფორმატში მონაწილეობა მიეღო. ცუდია, თუ მონაწილებას არ მიიღებენ, მაგრამ კარგია, რომ სახალხო განხილვად იქცევა ყველა ის საკითხი, რაც კომისიაზე გავა. ხალხი და საზოგადოება ამაში ჩართული უნდა იყოს. ეს ერთი-ორი ექსპერტის და ერთი პარტიის დონეზე არ უნდა გადაწყდეს“, — განაცხადა ინაშვილმა.

პატეფონიდან 3 გიჟურ თავისუფლებამდე...

შიშველი ეკრანზე საქართველოში

აფხაზეთსა და ცხინვალში ანტირუსული განწყობა დინამიკურად იზრდება 8

ჯანმრთელობის მინისტრის განცხადება

გრიპის ვირუსის გავრცელებისა და ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო ჯანდაცვის სამინისტროში სპეციალური ბრიფინგი გაიმართა. როგორც ბრიფინგზე მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, ეს არ არის ეპიდემია, მას თავისი მახასიათებელი აქვს — 500-ზე მეტი დაავადებულია 100 ათას მოსახლეზე, ახლა კი 254 აღირიცხება. თუმცა იმის გამო, რომ მიმართვიანობა სასწრაფო დახმარების სამსახურებში გაიზარდა, ამისთვის პროტოკოლი ამოქმედდება.

მინისტრის გადაწყვეტილებით, მყისიერად შეიქმნება ახალი სადისპეტჩერო, სადაც გრიპის ჩივილების მქონე გამოძახებები გადამისამართდება და ამ დაავადებების მართვას ოჯახის ექიმები განახორციელებენ. სერგეენკოს თქმით, ასევე გაიხსნება დამატებითი საოჯახო ცენტრები.

ჯანდაცვის მინისტრი მოსახლეობას ურჩევს გრიპის სიმპტომებისას სასწრაფოს ნაცვლად, ოჯახის ექიმს მიმართონ.

„ბაჩნია ოპოზიციას...“

მრავალაზროვნება „ქართულ ოცნებაში“ მხოლოდ სიმშვიდის მომცემია... 2

8 საქართველოში სეპარატისტულად განწყობილი სომხების ანტიქართული მიზნები სულ უფრო მეტად ჩანს

თაობათა მაგალითი შვილებს

დაგვიანებული მადლობა ოთარ ფაცაციას 5



5 გამოიწერეთ გაზეთი, რომელიც არასოდეს არ გატყუებთ!

◎ იხილავენ მომავალი წლის ბიუჯეტს

ქუმსიშვილი რომან გოცირიძეს: „ნუ შეგყავთ მოსახლეობა შეცდომაში!“

საკანონმდებლო ორგანოში 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა ხმაურის და დებატების ფონზე მიმდინარეობს. ფინანსთა მინისტრს „ენმ“-ს დეპუტატმა რომან გოცირიძემ მიმართა და განუცხადა, რომ ბოლო ათი დღის განმავლობაში თურქული ლირა და რუსული რუბლი გამყარდა, მთავრობა კი ლარის გაუფასურების მიზეზად დოლარის გამყარებას ასახელებს:

„თქვენ, როგორც მთავრობის ყველა წევრი, იმეორებთ ერთსა და იმავე ლეგენდას, რომ ლარის გაუფასურების მიზეზი თურმე ყოფილა დოლარის გლობალური გამყარება, ან ჩვენი სავაჭრო პარტნიორების ვალუტების გაუფასურება. ამ ბოლო ათი დღის განმავლობაში თურქული ლირა გამყარდა, რუსული რუბლი გამყარდა. დიახ, ბოლო ათი დღის განმავლობაში ლირა გამყარდა და თუ გინდათ, მოგიტანთ და გაჩვენებთ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. არავითარი სწრაფი კავშირი ამათსა და ლარს შორის არ არსებობს. გადაცემის მექანიზმი ზოგ შემთხვევაში თვეებია, ზოგ შემთხვევაში წლები, ამიტომ მორჩით რა ამ ლეგენდას“, — განაცხადა გოცირიძემ და ფინანსთა მინისტრს მიმართა კითხვით, თუ რა იყო ლარის გაუფასურების მიზეზი და გაჩერდება თუ არა ამ ბიუჯეტით ლარი 2.65-ზე.

პასუხად კი დიმიტრი ქუმსიშვილმა დეპუტატი მოსახლეობის მოტყუებაში დაადანაშაულა:

„ძალიან გთხოვთ ნუ შეგყავთ მოსახლეობა შეცდომაში, ასე არ შეიძლება. როდესაც არათანაბარი ხარჯვაა და როდესაც მონეტარული ინსტრუმენტები ვერ ახერხებს დროის კონკრეტულ მონაკვეთში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გადანაწილებას, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მცირე მერყეობები იყოს და ასეთი ჩვენ გვაქვს, მაგრამ ამავდროულად ჩვენ, როგორც გახსნილი ეკონომიკა, ვართ ინტეგრირებული და გადაცემის მექნანიზმი არის ძალიან სწრაფი. როდესაც თურქეთი არის თქვენი ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორი, შესაბამისად, თქვენ მასთან ნამდვილად ხართ ინტეგრირებული. ბაზარზე დოლარის კურსს განსაზღვრავს მოთხოვნა-მიწოდება. ჩვენ გვაქვს მცურავი კურსი“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

* * *

ეროვნული ვალუტის გაუფასურება არის სენსიტიური თემა, რომლითაც „ნაციონალური მოძრაობა“ აპელირებს, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისი თქმით, ეკონომიკური გუნდი აუცილებლად მიაღწევს იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დოლარზე არ იყოს მიბმული.

„მეტსაც გეტყვით, სახაზინო ოპერაციებით, წლის დასაწყისიდან 260 მილიონი ლარით მეტია ამოღებული ეკონომიკიდან. აქედან გამომდინარე, ამას არანაირად არ გავიზიარებ. რა თქმა უნდა, თქვენთვის დღეს პოლიტიკურად ძალიან მომგებიანია სენსიტიურ თემაზე მუდმივი აპელირება, თუმცა მე ვფიქრობ, რომ თქვენს შორის არიან ადამიანები, ვისაც გააჩნია იმდენი ცოდნა, რომ რეალობას მიხვდეს და იცოდეს, რეალურად, რა მოქმედებს ვალუტის კურსზე, როგორ ითვლება და ასევე, შეაფასოს, რომ რეალურად მართლაც ყველაზე დიდი გამოწვევა ამ ქვეყანაში არის ჩვენი ეკონომიკის დამოკიდებულება დოლართან მიმართებაში და ჩვენ ამას აუცილებლად მივაღწევთ, რომ ეს დამოკიდებულება დოლართან მიმართებაში შემცირდეს“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

* * *

პირველი ვიცე-პრემიერის, ფინანსთა მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, წელს დაიწყება მესტია-ჰაწვალის დამაკავშირებელი სატრანსპორტო საბაგიროს მშენებლობა, რაც კურორტის პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის. მისი თქმით, ჰაწვალის საბაგიროზე წელს 20 მილიონი ლარია გამოყოფილი.

ეს არის პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული პროექტი, რომელსაც მთელი ეკონომიკური გუნდი უჭერს მხარს და ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ,“ — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ინფორმაციით, ტურიზმიდან ქვეყანაში 2-მილიარდ 100 მილიონი შემოდის და ეს სფერო 170 ათას ადამიანს ასაქმებს. ტურიზმთან დაკავშირებით განმარტებები დიმიტრი ქუმსიშვილმა ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ სხდომაზე, დეპუტატ ადა მარშანიას პასუხად გააკეთა, რომელიც ფიქრობს, რომ ქვეყანაში არსებული გაუსაძლისი პირობების გათვალისწინებით სჯობს, თანხები სხვა მიმართულებით დაიხარჯოს. მარშანიას საპასუხოდ ქუმსიშვილმა ოჯახთან ერთად სვანეთში გატარებული დღეები გაიხსენა.

„მოგიყვებით მარტივ მაგალითს. ვგიჟდები ამ მაგალითზე, რომელიც მე შემემთხვა. მიყვარს მარიამობის სვანეთში შეხვედრა. უშგულში არის მშვენიერი ეკლესია. ოჯახთან ერთად, შარშან ვიყავი უშგულში. იქ ყველა სახლს აწერია „Guest house“-ი. გავჩერდით ერთ სახლში. ბევრნი ვიყავით, ძალიან მოვილხინეთ. დილით ბავშვებისათვის სუვენირების შეძენა მოვინდომე. ბრჭყვიალა ქვა — კაჟი, რომელიც მდინარეს მოაქვს, 20 ლარი ღირდა. 20 ლარი ღირს ხელით გამოთლილი პატარა სვანური კოშკი. მყავს სამი შვილი. ამოვიღე ჯიბიდან ფული, რომ მათთვის მეყიდა და ძალიან გამიხარდა: — როდესაც მე ქალბატონს 100 ლარიანი გავუწოდე, მან ჯიბიდან ამოიღო ბღუჯა. ქალბატონო ადა, ამოიღო ფულის ბღუჯა! ახლაც ტანში მაჟრიალებს. გეფიცებით, სიამოვნებისგან კინაღამ დავკოცნე ის ქალი. ეს არის ტურიზმის გავლენით, ოღონდ ეს სხვანაირად არ კეთდება. ეს თავისით არ ხდება. როდესაც ჩვენ მიზნობრივ ბაზრებზე დავდივართ, როდესაც ჩვენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ვატარებთ, მთელი ტურიზმი არის გათვლილი. ჩვენ ჩამოგვყავს წამყვანი ტელეკომპანიები, ვაკეთებინებთ გადაცემებს, ჩამოგვყავს ჟურნალისტები. ეს ბიუჯეტი თავიდან ბოლომდე არის გაწერილი“, — განაცხადა ქუმსიშვილმა მარშანიას საპასუხოდ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ოპტიმიზაცია არ იგეგმება

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტი ოპტიმალური და მაქსიმალურად მორგებულია ადმინისტრაციის საჭიროებებზე, — ასე უპასუხა ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა ჟურნალისტის კითხვას — პრეზიდენტი ბიუჯეტის შეკვეცას ხომ არ აპირებს? ეკა მიშველაძის განმარტებით, ოპტიმიზაცია ხდება იმ დაწესებულებებში და იმ უწყებებში, სადაც ამის საჭიროებაა.

„პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტი არის ოპტიმალური და მაქსიმალურად მორგებულია ადმინისტრაციის საჭიროებებზე. ოპტიმიზაცია ხდება იმ დაწესებულებებში და იმ უწყებებში, სადაც ამის საჭიროება და აუცილებლობა არსებობს. აქ კი ყველა თანამშრომელი ასრულებს თავის დაკისრებულ მოვალეობას“, — აღნიშნა ეკა მიშველაძემ.

სამძიმარი ჟურნალისტის გარდაცვალების გამო

საქართველოს პრეზიდენტი საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს, — ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

„პრეზიდენტის სახელით სამძიმარს ვუცხადებთ ქართულ მედიას და საზოგადოებრივ მაუწყებელს ოპერატორისა და ჟურნალისტის სოფო ბობოხიძის გარდაცვალების გამო. ეს არის უდიდესი ტრაგედია და დანაკარგი.

„გაჩნია ოპოზიცია...“

გიორგი კვირიკაშვილის **განცხადებით, ვერავინ შეძლებს, ხელი შეუშალოს მთავრობას რეფორმების გატარებაში, რომელიც ხალხის კეთილდღეობისა და ქვეყნის სწრაფი განვითარებისკენ არის მიმართული. მისივე შეფასებით, სრულიად დაუსაბუთებელი და აბსურდულია ბრალდება, თითქოს მთავრობას არა აქვს ერთიანი პოზიცია წარმოდგენილ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.**

საპარლამენტო უმრავლესობაში არ ადასტურებენ, რომ პრემიერის საგანგებო განცხადების ადრესატები უმრავლესობის ის წევრები არიან, რომლებიც 2017 წლის ბიუჯეტის მიმართ კრიტიკულები არიან. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძე აცხადებს, რომ მთავრობის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით გუნდში რაიმე უთანხმოება არ არსებობს.

შეგახსენებთ, რომ სამთავრობო გუნდში არსებულ დაპირისპირებაზე ინფორმაცია „ახალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ გაავრცელა, რომლის ინფორმაციით, მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა გიორგი კვირიკაშვილსა და დიმიტრი ქუმსიშვილს შორის სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდა. ინფორმაციის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი, თუმცა მიაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადება დროული და საფუძვლიანია.

პასუხობს თუ არა მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს, ამ საკითხთან დაკავშირებით სოსო ცისკარიშვილი გვესაუბრება.

— ჩემი აზრით, ბატონი პრემიერ-მინისტრის განცხადება არის დროული და რაც მთავარია, საფუძვლიანი, რადგან კრიტიკა, მის მიერ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით, ისმის ყველა მხრიდან. ამიტომ, დიახაც, პრემიერის მხრიდან ის კრიტიკა საჭიროებდა არა მხოლოდ განმარტებებს, არამედ მზაობას პასუხისმგებლობის აღების შესახებ. თავად ფაქტი იმისა, რომ უმრავლესობაში აღმოჩნდნენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჭეშმარიტებისკენ მიახლოების საუკეთესო შესაძლებლობაა.

ჩვენ ათწლეულების განმავლობაში მიჩვეული ვართ, როდესაც მუდამ უნისონში მღეროდა ხელისუფლება, არანაირი მეორე და მესამე ხმა მათთვის არ იყო დასაშვები. ნელ-ნელა მივბობღავდით ნანატრი შედეგისკენ, მაგრამ ხშირად ნატვრა ნატვრად რჩებოდა.

— ასეთი საფრთხე ჰქონდა „ქართულ ოცნების“ ხელისუფლებას?

— რასაკვირველია ჰქონდა, გამომდინარე იქიდან, რაც მივიღეთ განვლილი 4 წლის განმავლობაში, მაგრამ პრემიერ-მინისტრის მზაობა, რომ იყოს სრულიად ღია საკუთარ ოპონენტებთან ურთიერთობაში, რასაკვირველია, იმედის მომცემია. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ, რომ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი, არ არის ყოველთვის შენი მტერი. მტერი უფრო ადრე გამომჟღავნდება და მისი კრიტიკა შეიძლება იყოს იგნორირებული.

როცა თანამოაზრეს გაუჩნდება განსხვავებული აზრი, ეს მხოლოდ კმაყოფილების საფუძველი უნდა იყოს, რადგან სწორედ კამათში იბადება წარმატება. ამიტომ, ალბათ, უფრო ოპტიმისტურად განვეწყობით არსებული შემოთავაზებების მიმართ და საკუთარ თავზეც ავიღებთ ვალდებულებას, რომ წინმსწრები არ იყოს ჩვენი კრიტიკა იმ ნაბიჯების გასაკიცხად, რომელიც ჯერ არ არის გადადგმული.

— ამ შემთხვევაში გასაგებია ოპოზიცია-პოზიციის განცხადება, მაგრამ თქვენ იცნობთ 4-პუნქტიან გეგმას, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა, ეს გეგმა პასუხობს არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს, იძლევა ლარის კრიზისის დაძლევის შესაძლებლობას?

— არა მგონია, დღევანდელი მთავრობა არ გრძნობდეს საკუთარ შეცდომებს. ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ თავის მართლების რეჟიმში უწევთ საქმიანობა. ლარის გაუფასურებას ბევრი კომპონენტი გაჩნია, მაგრამ თვალსაჩინო შეცდომად მიმაჩნია ნაადრევი განცხადებები და დაპირებები. წინასწარ იმდენი სიახლე იქნა შემოთავაზებული, რომ ადუღდა ჩვენი

პატეფონიდან გიჟურ თავისუფლებამდე...

შიშველი ევროპა საქართველოში

„პატარაზე გაუღეს თუ არა კარი, ევროპა თავქუდმოგლეჯილი შემოვარდა წინა აზიაში: მოკლე კაბებით, ვიწრო შარვლებით, მოკასინებით, შეკრეჭილი და სტაფილოსფრად შეღებილი თმებით, წვრილი ქუსლებით, მცირეგაბარიტიანი ავეჯით მაგნიტოფონებით, ლუი ამსტრონგებითა და ჩაო-ჩაო ბამბინოებით. მე კი, „მოპრმა“ რომ მამაჩემს არტელ „ანტიბურჟუის“ მიერ გამოშვებული პატეფონი აჩუქა, ისევ ის მიდგას სახლში. კარგია მერე ეს?

ევროპაში ნამყოფი ჩემი მეგობრები დილით თურქული ყავითა და OC-ის მარკის კონიაკებით საუზმობენ. მე კი ისევ მურაბიანი ჩაითა და ცეკავშირის ყველით ვსაუზმობ. ჩემი ამხანაგები ისეთი ვიწრო შარვლებით დადიან, ორი კაცი ეხმარებათ გაძრობაში. მე კი, ქამარს რომ შევიხსნი, მისით მძვრება. კარგია მერე ეს? რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ იმედი მაქვს, ამ მოთხრობის შემდეგ გამოვსწორდები, რადგან ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებს გარკვეული აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს თვით ავტორისთვისაც“ (ნოდარ დუმბაძე. „ზუსტად 8 საათზე“).

მოდით, ვნახოთ, თუ რა შეიცვალა იმ რამდენიმე ათეულ წელიწადში, რაც ამ სიტყვების დაწერის შემდეგ გავიდა.

„პატარაზე გაუღეს თუ არა კარი, ევროპა თავქუდმოგლეჯილი შემოვარდა საქართველოში: ნახმარი „ოპელ ვექტრებით“, ტექნიკისა თუ ტანსაცმლის მაღაზიებიდან მოპარული ნივთებით, მოხუცებისა თუ ბავშვების მოვლაში აღებული ევროებით და რაც მთავარია, მოკლევადიან კურსებზე აღებული სერტიფიკატებით.

ტელევიზორებიდან მესმის, რომ ზოგიერთი სერტიფიკატიანი ახალ წელს „მაკდონალდსში“ ხვდება ჩისბურგერით და კოკა-კოლათი, მე კი საცივის წვენით დატიტყნილ თითებს ვილოკავ, მორიგი სადღეგრძელოს მოლოდინში.

ზოგიერთი სერტიფიკატიანი საპატრიარქოს კედლებს საღებავით სვრის, მეგობრებთან ერთად რუსთაველზე გეი-აღლუმების გამართვას გეგმავს... მე კი ეკლესიაში დავდივარ, სანთლებს ვანთებ და მეგობრებთან ერთად ლიტერატურაზე, ფილმებზე და მუსიკაზე ვლაპარაკობ.

ის სერტიფიკატებიანები ორიოდე ფურცელს დაწერენ, პროექტს დაარქმევენ და საკმაოდ მსუყე გრანტს დაითრევენ, ან პარლამენტარებად მოგვევლინებიან, მე კი სამსახური თუ ვიშოვე, იმ გრანტთან შედარებით კაპიკებს ავიღებ და მუდამ გათავისუფლების შიში მექნება. კარგია მერე ეს? რა თქმა უნდა არა“.

მოდით, იუმორი გვერდზე გადავდოთ და სამწუხარო რეალობას ჩავეძიოთ.

ტვინის ჭყლეტა ნამდვილად არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ის უმთავრესი იდეა, რასაც დემოკრატია, ცივილიზაცია, ქვეყნის ნორმალური განვითარება, მოსახლეობის ღირსეული ცხოვრება, ყველაფერი ის რისკენაც ნებისმიერი ადამიანი თუ სახელმწიფო მიისწრაფვის, საქართველოში საშინლად მახინჯი ფორმით ვრცელდება. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ ბავშვს ვაშლის სარგებელზე ესაუბრებოდე და ვიზუალურად მის ჭიან, დამპალ, გამოხრულ მხარეს აჩვენებდე.

რაც არ უნდა ისაუბროს ხელისუფლებამ საქართველოს დემოკრატიულ, ევროპულ არჩევანზე, რაც არ უნდა კონფერენციები, შეხვედრები, კონცერტები თუ სხვა სახის ღონისძიებები ატაროს, მათი ხმა მუდამ დარჩება ხმად მღაღადებლისა, რადგანაც იმ კონფერენციებს რამდენიმე ადამიანი ესწრება, იმ რეზოლუციებს რამდენიმე ადამიანი კითხულობს, ხოლო ვაშლის დამპალ მხარეს კი ფართოდ უწევენ რეკლამას ე.წ. ფლაგმანი მედიასაშუალებები და ე..წ „ცნობადი სახეები“.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ის „გავლენიანი“ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც წესით სამოქალაქო საზოგადოების მშენებლები უნდა იყვნენ, „გაშიშვლდნენ“. გაშიშვლდნენ, რადგანაც ორმაგი სტანდარტები დემოკრატიის ნამდვილი არსის ყველაზე უფრო მეტ დისკრედიტაციას ახდენს.

ის აგრესია, რაც ე.წ. „ცივილური ცხოვრების წესის“, გამოხატვის თავისუფლებისა თუ ევროპისკენ სწრაფვის მედროშეების მხრიდან მოდის, აბსოლუტურად მიუღებელია ნამდვილი ცივილიზაციისთვის, გამოხატვის თავისუფლების ნამდვილი არსისთვის და რაც მთავარია, ნამდვილი ევროპისთვის.

როდესაც ლაპარაკია იმ „შიშველ“ ტურისტზე, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინათ სვანეთში ეგზიბიციონისტი „ტურისტის“ ფოტოზე, შემდგომ მის მიერ ბოდიშის მოხდაზე, კონსტიტუციაზე, გამოხატვის თავისუფლებაზე — ისმის მხოლოდ „კი“, ან „არა“. არავინ საუბრობს იმაზე, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ადამიანთა გარკვეული კლასი, რომელთათვისაც სიტყვები „თავისუფლება“, „ცივილიზაცია“, „დემოკრატია“ და მრავალი სასურველი ფასეულობა, სიშიშვლეში, აგრესიასა და სხვადასხვა ეპატაჟურ გამოხდომებში გაიგივდა.

ასევე არის მეორე მხარე, რომელთათვისაც ზემოთ ნახსენები სიტყვები და ფასეულობები გარკვეულ შიშს ბადებენ და ბუნებრივია, რომ წინააღმდეგობის გრძნობას იწვევენ.

ამ უკანასკნელთა მიმართ ისმის განცხადებები, რომ ისინი არიან ბნელები, გაუნათლებლები დ.ა.შ. საოცარია, მაგრამ მსგავსი მსჯელობით გამოდის, რომ ცხოველური სიშიშვლე, ცხოველური ვნებების დაკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვა არის ცივილიზაცია. არადა პირიქითაა.

სწორედ ის აგრესია, რომელიც საპატრიარქოს კედლის საღებავით დასვრაში, ან ათასგვარ გამოხდომაში წარმოჩინდება, არის გონებისა და აზროვნების უკიდურესი სიმწირე, რომელსაც ადამიანი ცხოველურ ინსტიქტებამდე დაჰყავს.

ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ისინი, ვის ხელშიც არის მოქცეული საქართველოში დემოკრატიის, ცივილიზაციის და ნორმალური განვითარების სწორი გზის ჩვენება, ანუ ე.წ. გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები, ევროპული ტიპის პარტიები, „რუსთავი-2“-ის შოუ-გადაცემები და ა.შ. თავად არიან ჩრდილოკორეული, ბოროტი და დიქტატორული აზროვნების მატარებლები.

საზოგადოება უნდა შეეცადოს, თავად გაერკვეს იმ ხლართებში, რომლის წინაშეც სამწუხაროდ, მარტო აღმოჩნდა. აღმოჩნდა, რადგანაც როგორც ზევით აღვნიშნე მთელი საინფორმაციო სივრცე მხოლოდ ერთ მხარეს ეთმობა, ხოლო განსხვავებული აზრი მხოლოდ მცირე დოზით არის წარმოდგენილი.

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას უკვე საკმაოდ სერიოზულად აგორებულ ტალღაზე, რომელიც საქართველოში არსებულ ნარკოპოლიტიკას ეხება და რომელიც, რა თქმა უნდა, კვლავ ცივილიზაციის, დემოკრატიისა და გამოხატვის თავისუფლების ეგიდით არის შეფუთული.

ნარკოტიკების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით ისმის სხვადასხვა „რეკომენდაციები“ (ახლა არ დამიწყოთ — ლეგალიზაციას არავინ ითხოვს, უბრალოდ მკაცრი ნარკოპოლიტიკის შემსუბუქებაა. ტყუილია ეგ), იქაო და სუსტი ნარკოტიკი იყოსო, სახელმწიფო სამსახურში ვერ იმუშავებენო, საჭესთან არ შეიძლებაო დ.ა.შ.

მაპატიეთ ჟარგონისთვის, მაგრამ სიაბანდია ეგ ყველაფერი და „ცოტა შემაყოფინეს“ ჰგავს!

ინტერნეტში გავრცელებულია საკმაოდ საინტერესო წერილი იმის შესახებ, თუ სწორი პიარის შემთხვევაში როგორ შეიძლება მოხდეს კანიბალიზმის დაკანონება. ეს მკაცრი მაგალითი კარგად გვაჩვენებს იმას, რომ თუ კანიბალიზმის დაკანონებას აქვს პერსპექტივა, გაცილებით მცირე უბედურების დაკანონება, შედარებით ადვილი საქმეა.

როგორც ყოველთვის ამ „ჩვენს ცივილურებს“ პრობლემის არსი სულ სხვა რელსებზე გადაჰყავთ.

იხ. 4 გვ.

მრავალაზროვნება „ქართულ ოცნებაში“ მხოლოდ სიმშვიდის მომცემია...

ბიზნესმენების საკმარისზე მეტი ოდენობა, რამაც, რასაკვირველია, ნეგატიურად იმოქმედა ამ პროცესებზე. თუმცა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მთავრობის ყველა სახის კრიტიკა, ეფუძნება პროფესიულ საფუძველს და არა პოლიტიკურს.

გარდა ამისა, ჩვენ მოწმენიც ვართ, რომ არაადეკვატური დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას და საზოგადოებას საბანკო სისტემასთან. შესაძლოა, ჩვენ დღეს კიდევ უფრო უარეს დღეში აღმოვჩნდეთ ე.წ. ონლაინსესხებით, ეს არის თვალსაჩინო და უკვე გამოვლენილი დანაშაული, როდესაც ადამიანებს არ აძლევს მოსვენებას, თავად შეძლონ და მოიძიონ გამოსავალი, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი ინფორმაციები, გამოცდილება, ცოდნა, რას ნიშნავს სესხის აღება და რა მოელის მას.

ისეთი სარეკლამო კამპანია, რომელიც არჩეული აქვთ ამ ონლაინისტებს, მხოლოდ ინდივიდუალური ბედნიერის გზა არის და არა იმ დაჩაგრული და დაბეჩავებული ხალხის, რომელთათვისაც 200 ლარის სესხის მოძიებაც სამოთხედ არის წარმოჩენილი. ყველაფერში მთავრობის კრიჭაში ჩადგომა, მათი პოლიტიკური ოპონენტების საქმეა. საზოგადოება კი უნდა ცდილობდეს, გაარჩიოს თეთრი და შავი, ამის შემდგომ ზომიერად გამოთქვას თავისი აზრი. კიდევ ერთხელ გავიმეორებდი, რომ განსხვავებული აზრები დღევანდელი „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში, მხოლოდ სიმშვიდის მომცემია საზოგადოებისთვის.

— განსხვავებული აზრი არ ნიშნავს დაპირისპირებას, როგორც ამას ოპოზიცია წარმოაჩენს ამ შემთხვევაში...

— გააჩნია ოპოზიციას... არის ჩასაფრებული ოპოზიცია და არის სიცრუის ტირაჟირებაზე აწყობილი ოპოზიციაც. ასევე, არსებობს ოპოზიციური სპექტრი, მით უმეტეს არასაპარლამენტო სივრცეში, სადაც ცხადია, საკუთარი გამონათქვამებით ხელისუფლებაში ვერ მოდიან, მაგრამ საკუთარი ქვეყნის წინსვლა თითოეული ჯანსაღი გონების მქონე ადამიანის სერიოზული სურვილია, რასაკვირველია, ვისაც ხელეწიფება ჩანაფიქრის განხორციელება.

ზოგადად კი, პასუხისმგებლობის აღებამდე, უნდა ვიცოდეთ, რა გამოვლინებები აქვს თავად ასეთ პასუხისმგებლობას, რას ნიშნავს, ბოდიშს, გადადგომას თუ ვინმესკენ ხელის გაშვერას. ასე მარტივად პასუხისმგებლობის აღება ნაკლებად დამაჯერებელია. ჩვენ მოგვისმენია ზოგიერთებისგან, რომ მე ვარ პასუხისმგებელიო, მაგრამ შემდეგ ასეთი პასუხისმგებლობის აღებას არასოდეს მოვსწრებივართ. ამიტომ, გუნდურობა მისაბაძი ფორმატია, მაგრამ თუ ვინმეს აქვს განსხვავებული აზრი და ასეთ ადამიანებს არ მოუსმენდნენ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი განცხადებაც არის შედეგი რაიმე სახის ზეწოლისა.

— კარგია, რომ არსებობს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოყვანის გეგმა, მაგრამ როდის იგრძნობს ქართველი საზოგადოება ამ გეგმის შედეგებს. ფაქტია, რომ ეკონომიკური მდგომარეობა არის მძიმე, მას შემდეგ, რაც მთავრობამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, ვნახეთ, რა დაემართა ლარს. შესაბამისად, მხოლოდ ქაღალდზე არსებული გეგმა და განცხადებები შველის პროცესებს?

— ეს ფრაზა უფრო ვნებს წარმატებულ საქმიანობას, ვიდრე რაიმე სიკეთეს უქადის, რადგან 4-პუნქტიანი იქნება, თუ 24-პუნქტიანი რაიმე დოკუმენტი, ის არ შეიძლება აღიქმებოდეს როგორც ბიბლია. არავის აქვს უფლება, ცვლილება შეიტანოს ბიბლიაში, მაგრამ, ჩემი აზრით, ეკონომიკური გეგმების ნებისმიერი ავტორი მზად უნდა იყოს ცვლილებების შეტანისთვის. თუ წინასწარ ჯიუტად ვამბობთ, რომ არაფერი არ შეიცვლება, ეს შეიძლება შეცდომებისკენ მიმავალი გზა იყოს, ვიდრე მზაობა იმისა, რომ დიახ, საჭიროების შემთხვევაში შეიცვლება ისე, როგორც უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

◎ აი, დემოკრატია!!!

პატეფონიდან გიჟურ თავისუფლებამდე...

(მესამე გვერდიდან)

საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე შეთანხმებულია იმაზე, რომ ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია კი არ უნდა მოხდეს, არამედ ე.წ. „ჩადების", „ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე" დაკავების, დაკავებულთან შედარებით პოლიციელის უპირატეს პოზიციაში ყოფნის აბსოლუტური აღმოფხვრა და იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული „სუფთა" იქნება, პოლიციელი სულ მცირე, სამსახურიდან უნდა გააგდონ (კი არ უნდა „გაუშვან", არამედ უნდა „გააგდონ").

აი, ესაა სულ და კიდევ ერთს ვიტყვი: არც ერთი თავმოყვარე „ქეში" თუ „მკეთებელი" აქციაზე არ მივა!!!

არ მივა თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ნათლად ჩანს ხმაურის ნამდვილი მიზანი, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, ჯერ ე.წ. კლუბური ნარკოტიკებისა და მარიხუანის რეალიზაციის დაშვებაა. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ყველამ კარგად იცის, თუ რა ამოძრავებთ პროტესტანტებს. იცის, რომ ეგ მომიტინგეები ჩვეულებრივად „მაყუთს" აკეთებენ და ამ მძიმე სენით დაავადებული ხალხი, ფეხებზე ჰკიდიათ!

სწორედ გადაგვარება, ჭიანი ვაშლის შემოსაღებაა იმ ხალხის მთავარი მიზანი, რომლებიც ნარკოტიკების თავისუფლად გავრცელებას და სხვადასხვა ცხოველური ინსტიქტების დანერგვას დემოკრატიისა და ცივილიზაციის უმთავრეს მონაპოვრად წარმოაჩენენ.

და რა ხდება ამ დროს?

სახალხო დამცველი, რომელსაც ქვეყნის პულსზე უნდა ედოს ხელი, რომელიც ნებისმიერი რეფორმის რისკებს და შედეგებს უნდა ითვლიდეს და შესაბამის დასკვნებს დებდეს, ერთ-ერთი საცურაო აუზის მიერ, მენსტრუალური ციკლის მქონე ქალბატონების უფლებების დარღვევას აპროტეტსებს და ფემიციდის ამ „საშინელ" შემთხვევასთან დაკავშირებით ბრიფინგებს აწყობს.

მედია ხომ საერთოდ „გასულია მომსახურების ზონიდან" და პრობლემების რეალურად გაშუქების ნაცვლად, გადაცემის რეიტინგის ამაღლების მიზნით სპეციალურად იწვევენ ისეთ სტუმრებს, რომლებიც რაღაც სისულელეებს იტყვიან ან ჩაიდენენ და ამას „რეიტინგზე მუშაობით" ამართლებენ. არადა „ნახვა" და „რეიტინგი" აბსოლუტურად სხვადასხვა მცნებებია, მაგრამ საქმის გაიოლების მიზნით, „გაჭრილ კარტებად" ქცეული ე.წ. „ელიტარული ტელეწამყვანები" ცდილობენ, დაამკვიდრონ აზრი, რომ რაც მეტი ადამიანი შეხედავს გადაცემას, ის უფრო რეიტინგულად ჩაითვლება. ასეთ შოუმენებს შემიძლია ვურჩიო, რომ თუ რომელიმე მათგანი სტუდიაში შიშველი დაჯდება, ყველა „რეიტინგს" მოხსნის. ხოლო ნორმალური ადამიანებისთვის კი ვიტყვი, რომ ჟურნალი Playboy გაცილებით მეტ ადამიანს ექნება გადაფურცლილი, ვიდრე ჟურნალი „ნიუ იორკერი" (რომელშიც კრიტიკა, ესსეები, საგამომძიებლო რეპორტაჟები, თანამედროვე პროზა და პოეზია იბეჭდება), მაგრამ დამერწმუნეთ, რომ რეიტინგი „ნიუ იორკერს" გაცილებით უფრო მაღალი აქვს.

ეს ყველაფერი კი საზოგადოების ბრალია. სწორედ საზოგადოება ქმნის „ცნობად სახეებს", „ვარსკვლავებს", პოლიტიკოსებს. საზოგადოების დუმილი, წაყრუება, ნიჰილიზმი მათ შესანიშნავ ნიადაგს უქმნის, რათა კიდევ უფრო ფართოდ გაავრცელონ სერტიფიცირებულთა მწირ გონებაში გამჯდარი და ფულით განოყიერებული იდეები. იდეები, რომლებიც არც ერთი ნორმალური ადამიანისთვის, არც ერთი ნორმალური და მუდმივი განვითარების გზაზე მდგომი სახელმწიფოსთვის მისაღები არ არის.

სწორედ გადაგვარება, ჭიანი ვაშლის შემოსაღება, სიცრუის ტირაჟირებაა იმ ხალხის მთავარი მიზანი, რომლებიც ნარკოტიკების თავისუფლად გავრცელებას და სხვადასხვა ცხოველური ინსტიქტების დანერგვას დემოკრატიისა და ცივილიზაციის უმთავრეს მონაპოვრად წარმოაჩენენ.

ბოლოს კი ვიტყვი, რომ ქვეყანა, სადაც „რუსთავი-2" თავისუფალი სიტყვის ფლაგმანად ითვლება, ის არსება (სახელს და გვარს არ დავასახელებ) სახალხო დამცველია, დეფი პოეტი, გუგული მაღრაძე კანონმდებელი, სადაც ელენე ხოშტარია მრგვალ ბაღში ადამიანის უფლებებს იცავს, განათლების მინისტრი კომბლეს ებრძვის დ.ა.შ. ნამდვილად ღირსია, რომ თინა მახარაძემ გაიხადოს და თავისი ფოტოები დემოკრატიის, ცივილიზაციის და ევროპულობის დასაცავად საჯაროდ გამოფინოს!



გია გაბრიჭიძე

„ენერგეტიკის მინისტრი თუ მოლაპარაკებებს ახორციელებს „გაზპრომთან", ეს ძალიან კარგია"

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძისა და კომპანია „გაზპრომ-ექსპორტის" წარმომადგენლების შეხვედრას „ჩვეულებრივ, სტანდარტულ მოლაპარაკებებს უწოდებს და ამბობს, რომ მსგავსი მოლაპარაკებები ყოველ წელს იმართება.

გახარიას განცხადებით, არის ტექნიკური თემები, რომელიც განსახილველია.

„ენერგეტიკის მინისტრი თუ ახორციელებს მოლაპარაკებებს „გაზპრომთან", ეს არის კარგი, იქედან გამომდინარე, რომ მოლაპარაკებებს ადრე დავიწყებთ და ეს არ იქნება ახალი წლის პერიოდში. ყველას გვესმის, რომ ეს არის ჩვეულებრივი, სტანდარტული მოლაპარაკებები, რომელიც ყოველ წელს იმართება. არის ტექნიკური თემები, რომელიც უპირობოდ განსახილველია. რაც უფრო ადრე დავიწყებთ მოლაპარაკებებს, მით უკეთესი იქნება", — განაცხადა გახარიამ.

შეგახსენებთ საქართველოს ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ვენასა და მინსკში, კომპანია „გაზპრომ-ექსპორტისა" და კომპანია „ინტერ-რაოს" ხელმძღვანელებს შეხვდა.

◎ საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი

„სუსტი ოლიგოპოლია"

8 დეკემბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" ფარმაცევტული ბაზრის შესახებ კვლევა გამოაქვეყნა, რომელშიც მოცემულია ამ დარგში არსებული ძირითადი ტენდენციები. კვლევა 2012-2016 წლებს მოიცავს, თუმცა ზოგიერთ უფრო ადრინდელ საკითხსაც შეეხება.

ორგანიზაციის აზრით, ფარმაცევტული ბაზარი საბაზრო ძალაუფლების არცთუ ისე მკაფიო კონცენტრაციით ხასიათდება. 2015 წლის იმპორტის მონაცემების თანახმად, ბაზრის, დაახლოებით, 70 % ხუთ მსხვილ კომპანიაზეა გადანაწილებული. ესენი არიან შპს „ჰსპ ფარმა" — 22.32 %, შპს „ეი-ბი-სი ფარმაცია" — 14.91 %, შპს „ავერსი-ფარმა" — 14.54 %, სს „ჯი პი სი" — 10.20 % და შპს „გლობალფარმი" — 7.02 %. აქედან გამომდინარე, ფარმაცევტული ბაზარი შეიძლება დახასიათდეს როგორც სუსტი ოლიგოპოლია, თუმცა სულ ახლახან დაანონსებული „ეი-ბი-სი ფარმაციისა" და სს „ჯი-პი-სი"-ს გაერთიანება ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვისა და, შედეგად, დომინირებული პოზიციების ბოროტად გამოყენების რისკებს კიდევ უფრო მეტად აჩენს. მეორე მხრივ, კომპანიების შერწყმა ხელს შეუწყობს რესურსების გაერთიანებას, ხარჯების ოპტიმიზაციასა და ეფექტიანობის გაზრდას.

საქართველომ GMP საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა კვლავ ვერ მოახერხა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის შიგნით წარმოებული მედიკამენტების ექსპორტს.

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო ვერ უზრუნველყოფს თავის ფუნქციებს, ფარმაცევტული პროდუქტის აღიარებითი რეჟიმის რეგისტრაციის წესი კი ქმნის ბაზარზე უხარისხო მედიკამენტების შემოსვლის მცირე რისკებს.

რეცეპტების სისტემის დადებითი ეფექტი, მის ადმინისტრირებაში არსებული ხარვეზების გამო, არცთუ ისე დიდია.ჯარიმები ან არ გამოიყენება ან მცირეა.

ქვეყანაში კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება ავადმყოფისათვის ერთდროულად გაუმართლებლად მრავალი წამლისა და სამკურნალო პროცედურის დანიშვნა და ფარმაკოზედამხედველობის სრულყოფილი სისტემის არარსებობა.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ძირითადად რეცეპტების (ელექტრონული რეცეპტების) შემოღებას და მასთან დაკავშირებულ თანმდევ პროცესებს, ჯარიმების ზრდას ეხებოდა.

2014 წელს, განსაკუთრებით კი აპრილის შემდეგ, ყველა ფარმაცევტულ პროდუქტზე ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2016 წლის მაისის თვიდან მედიკამენტთა ზოგიერთ ჯგუფზე ფასები უკვე შემცირდა. ფასების კლების ტენდენცია ამჟამადაც ნარჩუნდება.

იმპორტის მონაცემების მიხედვით, საწარმოები „ავერსი-რაციონალი" და „ჯი-ემ-პი" მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოში ფარმაცევტული წარმოების სექტორის განვითარებაში, მათ ბაზრის 97 % უკავიათ. ამჟამად ბაზარზე დაშვებულია 11,168 მედიკამენტი, რომელთა შორის 12,25 % საქართველოშია წარმოებული.

ნინო ევგენიძე

გაიზრდება თუ არა ტარიფები?

სემეკი ელექტროენერგიის ტარიფის მატებას არ ვარაუდობს. მარეგულირებელ კომისიაში აცხადებენ, რომ მიღებული აქვთ ენერგო კომპანიების განაცხადები, რომელთა განხილვაც წლის ბოლომდე დასრულდება და ვითარება სავარაუდოდ, უცვლელი დარჩება.

„სამომხმარებლო ტარიფებზე მე უკვე არაერთხელ აღვნიშნე, რომ ტენდენცია გაძვირებისა არ არის. ხშირად კითხულობენ კურსი მოქმედებს თუ არა. ზოგადად კურსი მოქმედებს, თუმცა კურსის გარდა სხვა ფაქტორებიც არის, რომელიც მოქმედებს ტარიფის ფასის წარმოქმნაზე. 14-ში გვაქვს სხდომა, სადაც იქნება განხილული ენგურისა და ვარდნილის ჰიდროელექტროსადგურების სატარიფო აპლიკაციები და მივიღებთ გადაწყვეტილებას მათთან მიმართებაში, ხოლო სხვა საწარმოებთან მიმართებაში განხილული იქნება უკვე შემდგომ კომისიის სხდომებზე და ყველა კომპანიის მიმართ ტარიფები დამტკიცებული იქნება 31 დეკემბრამდე," — განაცხადა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრმა გოჩა შონიამ.

„ქვეყანა 90-იანი წლების ეკონომიკურ კრიზისში დაბრუნდა"

დღეს საქართველოში ისეთი ეკონომიკური კრიზისია, როგორიც იყო 90-იან წლებში, — განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერმა ირმა ინაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

„ხელისუფლების პროგრამა ლარიზაციასთან დაკავშირებით არ უშველის ლარს. მე ამას არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ვუკავშირებ. ხდება ციფრების გაზვიადება, არასწორი მონაცემების გავრცელება. რეალურად ქვეყანა დგას ისეთ ეკონომიკურ კრიზისში, როგორიც იყო 90-იან წლებში. ამაზე ვისაუბრებთ ფინანსთა მინისტრთან", — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

გუშინ საქართველოს მთავრობამ საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა.

გამორჩეული მენეჯერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი

დაგვიანებული მადლობა ოთარ ფაცაციას

იცნობთ ბატონ ოთარ ფაცაციას?

მისი სახელი, რასაკვირველია, ბევრს გაუგონია და, შეუძლებელია, ასეც არ იყოს. ზუგდიდის ქაღალდის კომბინატზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელსაც წლების მანძილზე თავკაცობდა და მისი საწარმოს მიერ შექმნილი პროდუქციით ყველა მადლიერი ჰყავდა, სხვადასხვა დროს იყო პარტიული და საბჭოთა ორგანოების პირველი პირი, ხოლო საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში – 1992-94 წლებში ჩვენი ქვეყნის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობდა და სასახელოდ გაართვა თავი ამ მძიმე დავალებასაც.

დღეს, როდესაც მხოლოდ ორი საუკუნის კი არა, ორი ათასწლეულის უღელტეხილზე გაცნობილ ადამიანებს ვიხსენებ, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბატონი ოთარის, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მენეჯერის რამდენიმე შტრიხი, რომელიც მის განსაკუთრებულ კომუნიკაბელურობას ემყარებოდა და ამის შედეგად არა მარტო ქვეყნისა და სხვა პიროვნებების, არამედ პირადად ჩემს ცხოვრებასა და იმ საქმეს დაამჩნია კეთილი კვალი, რომელსაც იმ კონკრეტულ პერიოდში მე ვემსახურებოდი.

●

40 წლის წინათ, 1976 წლის დასაწყისში საკავშირო მთავრობამ გადაწყვიტა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქცია. დადგენილება ითვალისწინებდა, რომ საწარმოს ახალი პროდუქცია – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების გამოშვება აეთვისებინა და წელიწადში 300 ათასი ასეთი ავტომობილი დაემზადებინა. ინფრასტრუქტურულ პროექტში გათვალისწინებული იყო კოპიტნარ-ავტოქარხნის წყალსადენის გაყვანა, საკანალიზაციო კოლექტორის მთლიანად შეცვლა და სოფელ გეგუთში ფეკალური მასების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

ამ მოცულობითი პროგრამის განხორციელების შტაბს უშუალოდ საქართველოს იმდროინდელი თავკაცი – ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, შტაბის წევრი კი საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების პირველი პირები იყვნენ. მათ გვერდში მეც აღვმოვჩნდი, რადგან იმ პერიოდში ვიყავი საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე რეკონსტრუქციის დარგში.

შტაბი სისტემატურად იკრიბებოდა, რათა განეხილა პრობლემატური საკითხები და დაესახა მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზები.

– ერთ-ერთ სხდომაზე ახალი მუშახელის მიღებისა და გადამზადების შესახებ იყო მსჯელობა. სიტყვით მეც გამოვედი და ხაზგასმით აღვნიშნე:

– ამჟამად ჩვენს საწარმოში 9 ათასი კაცი მუშაობს. რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის 5 ათასით გაზრდა. მათი სოფლებიდან მოზიდვა ბინის მიღების საგარანტიო შეთანხმებით ხდება, ქუთაისის სახლთმშენებლობის კომბინატმა უარი გვითხრა, მომავალ წელს ჩვენგან ჩარიცხული თანხით 30 პროცენტით გაეზარდა კაპიტალური დაბანდება. დირექტორმა განაცხადა: საწარმო გადატვირთულია და სამუშაოთა მოცულობას ვეღარ გავზრდითო.

– რომან ბეჟუაშვილი წესიერი კაცია და კარგი ხელმძღვანელი. – აღნიშნა ბატონმა ედუარდმა. – მისი საწარმოს სიმძლავრე დამატებითი შეკვეთის გარეშეც კი აღემატება რეალურ შესაძლებლობას. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ ერთი ცხრასართულიანი, 100-ბინიანი კორპუსის მშენებლობა სამხედრო დანიშნულების ქარხანა „ავანგარდისთვის“ პირადად ჩემი თხოვნით შეიტანა მომავალი წლის გეგმაში. – თქვა და განაგრძო, – ჩემი წინადადებაა, დავწეროთ წერილი საბჭოთა კავშირის მშენებლობის მინისტრის გიორგი კარავაევის სახელზე. თქვენ კი, – ამჯერად მე მომმართა, – დაუკავშირდით ზუგდიდში ოთარ ფაცაციას. მინისტრი მისი ახლო მეგობარია და შეიძლება მდგომარეობის სწრაფად მოგვარებაში დაგვეხმაროსო.

●

სასწრაფოდ დავუკავშირდით საკავშირო მშენებლობის სამინისტროს. გვითხრეს, რომ მინისტრი შვებულებაში იმყოფებოდა. მაგრამ იმჯერად ოფიციალური წყაროთი მეტი ვერაფერი შევიტყვეთ. სამაგიეროდ, ბატონმა ოთარ ფაცაციამ, რომელსაც ქუთაისის იმდროინდელი თავკაცი, ბატონი ნუგზარ რუხაძე ტელეფონით ესაუბრა, ყველაფერში მალე გაგვარკვია. მინისტრი უკვე მეხუთე დღეა, მეუღლესთან ერთად ბიჭვინთაში მთავრობის აგარაკზე იმყოფებაო. გამოგზავნეთ კომპეტენტური პიროვნება, წამოიღოს ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი მიმართვა და შეხვედრის ორგანიზებას მე მოვაგვარებო.

– გადაწყდა, რომ ბიჭვინთაში სასწრაფოდ უნდა გავმგზავრებულიყავი.

●

ბალახვანში, იობიძეების ცნობილ ბაღში მივეცი შეკვეთა, რომ ორი საგანგებო თაიგული გაემზადებინათ, თანაც ავუხსენი, რისთვის მესაჭირეობდა.

მეორე დღეს, როცა წამოსაღებად მივედი, საოცრება ვიხილე. შეუძლებელია, უნახავად აღწერო ამ თაიგულების სილამაზე: ყვითელი სამეფო და სხვადასხვა ფერის ხავერდოვანი ვარდები, ლილიები, პიონები, ჰორტენზიები საოცარ ფერთა გამას ქმნიდნენ.

– თაიგულები სპეციალურ მაღალყელიან ქოთნებში ეწყო, ისინი უკანა სავარძელზე ვერტიკალურად დაამაგრეს, თან გაგვაფრთხილეს – ყვავილებს წყალი ყოველ ნახევარ საათში აპკურეთო.

●

12 საათზე უკვე ზუგდიდში ვიყავით.

ბატონი ოთარი, რომელიც იმ დღემდე არასდროს მენახა, კაბინეტში მელოდა. მასზე ადრეც ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წმინდა კოლხურს, წარმოსადეგ ვაჟკაცს ხშირი, დატალღული თმა და მოკლედ დაყენებული ულვაშები საოცრად შვენოდა. საუბრობდა დინჯად, გამოკვეთილად, სასიამოვნო ტემბრით.



– მასპინძელმა გადმომცა საკავშირო მინისტრთან მისატანი სარეკომენდაციო წერილი და მითხრა, რომ ტელეფონით უკვე ესაუბრა გიორგი კარავაევს, სახელმწიფო აგარაკის დაცვას მიღებული აქვს ცნობები შენზე და შენს მანქანაზე და მინისტრი სამიდან ოთხ საათამდე გელისო.

●

– მანძანამდე მიმაცილა. წვიმდა.

– ბატონო არჩილ, მეგრელი ბრძანდებით? – დაინტერესდა ბატონი ოთარი.

– დიახ, წარმოშობით მეგრელი გახლავართ.

– მეგრული იცით?

– სამწუხაროდ, არა!

– ელარჯი თუ იცი, რა არის?

– როგორ არ ვიცი, – ვუპასუხე მე, თუმცა იქვე დავძინე, – სამწუხაროდ, დღემდე არ გამისინჯავს.

– ჰოდა, მეგრელი კაცი, რომელმაც არც მეგრული იცის და არც ელარჯი გაუსინჯავს, რეპუტაციაშელახული მეგრელია. – მეუბნება სიცილით და ხაზგასმით მთხოვს, – ბიჭვინთიდან რომ დაბრუნდები, რა პასუხიც უნდა მოგქონდეს და რა დროც უნდა იყოს, გამომიარე, რომ რესტორან „ოდიშში“ ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ შენი რეპუტაცია.

●

სამ საათზე უკვე ბიჭვინთაში ვიყავი.

კვლავ ცრიდა.

პირველი საკონტროლო პუნქტი მე და ჩემმა მძღოლმა თავისუფლად გავიარეთ. მეორე პუნქტში ჩვენს შემოწმებას მეტ დროს მოუნდნენ, ხოლო ბოლო მესამე პუნქტში თმის ძირამდე ყველაფერი შეგვიმოწმეს.

დაცვის მუშაკმა გვითხრა, რომ მინისტრი რეზიდენციაში კი არ გველოდებოდა, არამედ საზაფხულო პავილიონში, სადაც წვიმის დროს მთავრობის წევრები და მათი მეუღლეები ისვენებდნენ. ამასთან, ჩემს მიერ მიტანილ ორ თაიგულს რომ შეხედა, მეუბნება:

– ამხანაგო მურღულია, იქ ახლა ორი კი არა, სამი ქალბატონია. ამის გაგონებაზე მძღოლს ვთხოვე:

– ბორის. გაყავი ერთი თაიგული ორ ნაწილად!

●

ეძვსწახნაგოვან საგაზაფხულო პავილიონში იდგა მრგვალი მაგიდა და მის გარშემო სკამები ელაგა. ოდნავ მოშორებით კიდევ ერთი მაგიდა იყო. ამჯერად მომცრო, სადაც, ეტყობა, ჭადრაკითა და შაშით ერთობოდნენ.

კართან პირადად მინისტრი შემომეგება და მთავრობის წევრებთან წარმადგინა. მათ შორის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი კოსიგინი შევიცანი, რამაც ძალზე ამაღელვა.

მაგიდა მრავალფეროვანი ბუტერბროტებით, თევზით, ყველით, ძეხვეულით, დამარილებული ქაშაყით, მოხარშული კარტოფილით, ზეთისხილით, არყითა და ლუდით იყო გაწყობილი.

მშენებლობის მინისტრმა მთავრობის წევრებს აუხსნა, რომ მე – ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე სერგო მურღულია, გარკვეულ საქმესთან დაკავშირებით მისი პირადი სტუმარი ვარ და უშუალოდ პრემიერმინისტრის თხოვნით მოვიწვიე პავილიონში, რათა ინფორმაცია მანაც მოისმინოსო.

საუბრის დაწყებამდე ქვეყნის იმდროინდელი ხელმძღვანელობის წინაშე ბოდიში მოვიხადე და თაიგულები მინისტრის მეუღლესა და მასთან ერთად მყოფ ორ მანდილოსანს გადავეცი.

– რა სილამაზეა, რა მშვენიერება, რა სურნელებაა! – აღტაცებით ამბობდნენ მანდილოსნები. მე კი ვიდექი ფეხზე და, შეთავაზების მიუხედავად, კარგა ხანს ვერ ვბედავდი იმ სუფრასთან მიახლოვებას, სადაც მთავრობის სხვა წევრებთან ერთად კოსიგინიც იჯდა.

მასპინძელთა უმეტესობა მხიარულ გუნებაზე იყო. ეტყობოდათ ალკოჰოლის გავლენა, ოღონდ მთვრალი არც ერთი არ ყოფილა.

ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და დავჯექი.

– აბა, ახალგაზრდავ, გვიამბე, როგორ მიმდინარეობს ქარხნის რეკონსტრუქცია, როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ავტომობილების გამოცდა? – მეკითხება სუფრის ერთ-ერთი წევრი.

ის-ის იყო, უნდა მეპასუხა, რომ მინისტრმა დამასწრო:

– ვაცადოთ, რომ დაილოცოს! – თქვა და საკმაოდ მოზრდილი ბროლის ჭიქა არყით შემივსო.

შევამჩნიე, რომ თვითონ მომცრო ჭიქებით სვამდნენ.

ვიუარე, მაგრამ მინისტრი არ მომეშვა. მერე ერთმა თქვა:

– ქართველია. ალბათ, არაყს არ სვამს, რადგან ღვინო ურჩევნია.

ეს რომ გავიგონე, ძალა მოვიკრიბე:

– პირადად მე არაყს არ ვსვამ, მაგრამ სოლიდარობის გამო გავბედავ.

„Ради солидарности“-მ გულიანი სიცილ-ხარხარი გამოიწვია და ამით გათამამებულმა არყიანი ბროლის ჭიქა ბოლომდე დავცალე, მერე კი პასუხი დავიწყე.

– ამჟამად ჩვენს მიერ დამზადებული ორი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა წარმატებით გადის გამოცდას. ეს მანქანები უნიკალურია. აქვს 8 სიჩქარე. კომბაინით ხორბლის აღებისას ეს საშუალებას იძლევა, რომ მანქანა მას საათში 2 კილომეტრის სიჩქარით გაჰყვეს. გამართულად მუშაობს უგზოობის დროსაც. სოფლის მეურნეობაში მისი მასობრივად გამოყენება დაგვიზოგავს მილიონობით მანეთის საწვავს.

– ყურადღება ძირითადად პრობლემებზე გაამახვილეთ! – მირჩია ალექსეი კოსიგინმა.

– რეკონსტრუქციის პროექტის თანახმად, ოთხ წელიწადში უნდა მივიღოთ და მოვამზადოთ 5000–მდე მუშაკი. მუშახელის დაინტერესება ხდება ორ და სამ წელიწადში ბინის მიცემის გარანტიით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად ქარხანაში 9 ათასი მუშა-მოსამსახურეა, რომელთაგან 2000 ბინის რიგშია, სახლმშენებელი კომბინატი კი ჩვენი მოთხოვნის შესაბამისად ვერ გაზრდის მშენებლობის მოცულობას, უკვე მომავალი წლიდან კადრების მიღება-მომზადებაში სირთულეები შეგვექნება-მეთქი, – აღვნიშნე პასუხად.

ალექსეი ნიკოლაევიჩ, ამ საკითხის გადაწყვეტას ჩემს თავზე ვიღებ! – აღნიშნა მშენებლობის მინისტრმა.

– მეორე პრობლემა ის არის, რომ რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილ თანხებში მცირეა ვალუტა. – განვაგრძე ინფორმირება. – ეს ხელს გვიშლის იმპორტული დანადგარების მიღებაში. არის მესამე პრობლემაც: ფეკალური წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობილობათა დაახლოებითი 40 პროცენტი საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არ მზადდება. ეს მრეწველობის სრულიად ახალი დარგია და ამიტომ, ჩემი აზრით, საჭიროა დადგენილი ვადების გადახედვა-მეთქი.

საუბრის დროს ვერ შევამჩნიე, არყით ორჯერ როგორ შემივსეს ჭიქა და ორივეჯერ როგორ დავლიე. ამან დაძაბულობა საერთოდ მომიხსნა.

– ეს მანქანა ისე ესაჭიროება ჩვენს სოფლის მეურნეობას, როგორც თევზს წყალი. – თქვა ალექსეი კოსიგინმა და განაგრძო, – ჩვენ ამ საკითხის განხილვას კვლავ დავუბრუნდებით.

– შევამჩნიე, რომ სუფრიდან ოდნავ მოშორებით მჯდომი აქ შემთხვევით არ იმყოფებოდა. როგორც ჩანს, საუბრის თითოეულ დეტალს მაგნიტურ ფირზე იწერდა.

●

როცა მინისტრმა რეზოლუცია დაადო ჩემს მიერ მიტანილ მიმართვას, მოკრძალებული მადლობა გადავუხადე სუფრის მთელ შემადგენლობას და წამოვედი, თან გულით ვლოცავდი ბატონ ოთარ ფაცაციას, რომლის დიდმა ავტორიტეტმა შემაძლებინა იმდროინდელი მთავრობის წევრებთან შეხვედრა და იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ჩემს ქარხანასა და ქალაქს სიკეთეს მოუტანდა.

სამწუხაროდ ქუთაისში მომავალს მომივიდა ის, რაც სიცოცხლეში არასდროს დამმართნია. ბიჭვინთაში დალეულმა სამად-სამმა ჭიქა არაყმა საოცრად მომთენთა, მანქანაში ძილქუშად მიმაგდო და ბიჭვინთიდან ქუთაისამდე ისე ვიმგზავრე, რომ ბატონი ოთარისთვის მიცემული სიტყვა ვერ შევასრულე, მასთან ერთად რესტორან „ოდიშში“ ვერც ელარჯი ვიგემე და ვერც მეგრული რეპუტაცია აღვიდგინე.

მართალია, 2012 წელს, როცა ბატონი ოთარი თავის თანაქალაქელებთან ერთად ქუთაისს ეწვია, ეს შემთხვევა გავიხსენე და სათანადო მადლიერებაც გამოვხატე, მაგრამ დღემდე თავს მაინც მოვალედ ვთვლიდი, საგანგებოდ აღმენიშნა, რომ ბატონ ოთარ ფაცაციას ვალიდან ვერასდროს ამოვალ.



არჩილ (სერგო) მურღულია,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენოსანი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე

ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

პატარა უფლისწული

ზღაპარი
ავტორის ნახატებით

ფრანგული ტექსტი
ქართულად გადმოაქცია
გურამ გოგიაშვილმა

VIII

მალე ბევრად უკეთესად გავიცანი ეს ყვავილი. პატარა უფლისწულის პლანეტაზე მუდამ ხარობდნენ უბრალო, სადა ყვავილები, რომელთაც ცოტა ფურცლები ჰქონდათ, ადგილიც ცოტა ეჭირათ და შეწუხებითაც არცვის არ აწუხებდნენ. დილდილაობით ბალახბულახში იშლებოდნენ და საღამოთი ჭკნებოდნენ. ეს კი დანამდვილებით არავინ იცის, ქარისგან საიდან შემოტანილი თესლიდან ამოიღოჯა, და პატარა უფლისწული თვალს არ აშორებდა პაწაწკინტელა ყლორტს, რომელიც სულაც არ ჰგავდა არც ერთ დანარჩენ სხვა ყლორტს თუ ბალახის ღეროს. რა იცი, იქნებ ბაობაბის რომელიღაც ახალი ნაირსახეობაც იყო? მაგრამ ამონაყარმა სწრაფად შეწყვიტა ტანის აყრა და კოკორი გამოიტანა. პატარა უფლისწულს არცროდის ადრე ამხელა კოკრები არ ენახა და გული უთქვამდა, რომ სასწაულს რასმე მოიხილავდა. ჯერ კიდევ თავისი მწვანე ოთახის კედლებში მოქცეული უცხო სტუმარი კი დიდ სამზადისში იყო, თავს იკოპწიავებდა, გულმოდგინედ არჩევდა ფერებს, აუჩქარებლად ირთვებოდა, ხან რომელ ფურცელს იზომავდა, ხან – რომელს. არ უნდოდა, რომ რომელიღაც ყაყჩოსავით გაბურძგნილი გამოჩენილიყო. მთელი თავისი სილამაზის ბრწყინვალების გამოჩენა სურდა. იმის სიკეკლუცეს საზღვარი არა ჰქონდა. ისე იპრანჭებოდა, სხვა ყველა გაპრანჭვა მოგონილი იყო. და აი ერთხელაც დილით, მზე ამოვიდა თუ არა, კოკორი გაიფურჩქნა.

კეკლუცმა მზეთუნახავმა, რომელიც ამდენ ხანს ემზადებოდა ამ წუთისთვის, მთქნარებით თქვა:

– ძლივს არ გავიღვიძე... უნდა მაპატიოთ... ჯერ ისევ გაბურძგნილი ვარ...



პატარა უფლისწული აღტაცებას ვერ მალავდა:

– რა თვალწარმტაცი ხართ!

– არა, მართლა? – წაიჩურჩულა ყვავილმა. – დაიხსომეთ, რომ მზესთან ერთად ვარ დაბადებული.

პატარა უფლისწული, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ კეკლუცი სტუმარი თავმდაბლობას არ უჩიოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი პირმწყაზარი იყო, სუნთქვა შეგეკვრებოდა!

და უცხო სტუმარს სათქმელი აღარ დაუყოვნებია:

– მგონი, საუზმის დროა... დიდად დაგიმადლით, თუ მომემსახურებით.

პატარა უფლისწული შეცბა, თუმცა ხელადა მოიძია წურწურა და წყაროს წყლით მორწყა გაკეკლუცებული ყვავილი.



მალე გაირკვა, რომ ეს უცხო მზეთუნახავი დიდი ამაყი და თაკილა იყო. და პატარა უფლისწული პირდაპირ დატანჯა. ერთხელ თავისი ოთხი ეკალი უჩვენა პატარა უფლისწულს და უთხრა:

– თუ უნდათ მოვიდნენ ვეფხვები, სულაც არ მეშინია იმათი ბრჭყალებისა!

– ჩემს პლანეტაზე ვეფხვები არ არიან, – შეეპასუხა პატარა უფლისწული. – თანაც კიდევ ვეფხვები ბალახს არა ჭამენ.

– მე ბალახი არა ვარ, – წყნარად მიუგო ყვავილმა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №231-232

– ბოდიში მომიხდია...

– არა, ვეფხვებისა სულაც არ მეშინია, მაგრამ ძალიან მაშინებს ორპირი ქარი. შირმა ხომ არ გექნებათ?

„მცენარეა და ორპირი ქარისა ეშინია... უცნაური ამბავია... – გაიფიქრა პატარა უფლისწულმა. – რა რთული ხასიათი ჰქონია ამ კეკლუც ყვავილს“.

– როგორც კი მოსაღამოვდება, თალფაქი დამახურეთ. აქ, თქვენსა, მეტისმეტად ცივა. აქ არც სითბოა, არც სიმყუდროვე. იქ კი, საიდანაც მოვედი...

სათქმელი არ დაუმთავრებია. ჯერ ისევ მარცვალი იყო, აქ რომელიღაც ქარმა რომ გადმოაგდო. სხვა ქვეყნებისა და ქვეყნიერებებისა არცრა გაეგებოდა რა. სისულელეა ტყუილის თქმა, როცა სულ ადვილად გამხილებენ. ამაზეა ნათქვამი, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, ტყუილით შორს ვერ წახვალო. პრანჭიკელა ყვავილი შეცბა, მერე ერთი-ორჯერ ჩაახველა, რა არი პატარა უფლისწულს ეგრძნო, რომ იმის წინაშე დამნაშავე იყო.

– შირმა სად არის?

– მინდოდა მოსატანად წასვლა, მაგრამ ბოლომდე ხომ უნდა მომესმინა თქვენთვის!

მაშინ მან უფრო მაგრა ჩაახველა: კარგი იქნებოდა, თუ სინდისი კიდევ უფრო მეტად შეაწუხებსო.

თუმცა პატარა უფლისწულს უკვე უყვარდა კეკლუცი ყვავილი და გულიანადაც ემსახურებოდა, მაგრამ მალე სულში ეჭვის ჭია გაუჩნდა. ცარიელი ფუჭი სიტყვები გულს უკლავდა და თავი ძალიან უბედურად წარმოიდგინა.

– სულ ტყუილად ვუსმენდი იმას, – გულახდილად მითხრა ერთხელ. – არცროდის ყვავილებს არ უნდა უსმინო. უბრალოდ უნდა უცქირო და იყნოსო მაგათი სურნელი. ჩემმა ყვავილმა კეთილსურნელებით დაათრო მთელი ჩემი პლანეტა, მე კი ეს სიხარულს არა მგვრიდა. ბრჭყალებსა და ვეფხვებზე ჩამოგდებულ სიტყვას... უნდა გული აეჩუყებინა ჩემთვის, მე კი გული მომივიდა, გავბრაზდი:

და არსაღიარებელიც აღიარა, ბოლომდე გამოტყდა.

– არცრა მაშინ არ მესმოდა! სიტყვების მიხედვით კი არა, საქმეების მიხედვით უნდა განმესაჯა. ის მძღვნიდა თავის სურნელს, მიცისკროვნებდა ცხოვრებას. არა, არ უნდა გამოვქცეულიყავი. ამ უბადრუკი ეშმაკობებისა და ფანდების წიაღ სინაზე უნდა ამომეცნო, ყვავილნი ხომ დღეში ცხრაჯერ იცვლიან ხასიათს, მაგრამ მე ნამეტანი ჯეელი ვიყავი, ჯერ კიდევ სიყვარულის ყადრი არ ვიცოდი.

IX

როგორც მივხვდი, მან მძლევარ ფრინველებთან მოგზაურობა გადაწყვიტა. ბოლო დილას ჩვეულებრივზე ბევრად გულსრულად, გულმოდგინედ მიალაგ-მოალაგა თავისი პლანეტა. საგულდაგულოდ დაწმინდა მოქმედი ვულკანებიც. მოქმედი ვულკანი სულ ორი ჰქონდა. დილაობით ხან ერთზე, ხან მეორეზე მარჯვედ იცხელებდა ხოლმე საუზმეს. ამ ორის გარდა, კიდევ ჰქონდა ერთი ჩამქრალი ვულკანი. რა იცი, რა ხდებაო, თქვა, ადგა და ისიც გაწმინდა. თუ ვულკანი წესიერად გაწმინდე, ის თანაბრად და წყნარად ანთია, არამც და არამც არ ამოიფრქვევა. ვულკანის ამოფრქვევა იგივეა, რაც ღუმლის მილში გაჩენილი ხანძარი, როცა მილში ჭვარტლს ცეცხლი უჩნდება. რა თქმა უნდა, ჩვენ, დედამიწელი ადამიანები, ნამეტანი პატარები ვართ და არ შეგვიძლია ჩვენი ვულკანების გაწმენდა. აი რატომ არის, რომ ისინი ამდენ უსიამოვნებას გვაყენებენ.

მერე პატარა უფლისწულმა არცთუ უდარდელად ბაობაბებს ბოლო ყლორტები გამოაგლიჯა. ალბათ, აღარასოდეს დაბრუნება არ მიწერიაო, ფიქრობდა, მაგრამ იმ დილით ჩვეული სამუშაო რატომღაც უჩვეულო სიამოვნებას ანიჭებდა. ხოლო კეკლუცი ყვავილი უკანასკნელად რომ დაარწყულა და თალფაქის დახურვა დაუპირა, უცაბედად გული ამოუჯდა.

– მშვიდობით, – თქვა მან.

ყვავილს პასუხი არ გაუღია.

– მშვიდობით, – გაუმეორა პატარა უფლისწულმა.

ყვავილმა დაახველა. მაგრამ არა იმის გამო, რომ გაცივებული იყო.

– სულელი ვიყავი, – თქვა მან ბოლოს. – მაპატიე. ბედნიერმა იარე ქვეყნიერებაზე.

და არცრა საყვედურის სიტყვა არ დასცდენია. პატარა უფლისწული გასახტებული იყო. გაოგნებული და დაბნეული ვეღარ ინძრეოდა, აღარ იცოდა, რა მოეხერხებინა მინის თალფაქისთვის. თავბრუ დაჰხვია ამ უჩვეულო, მშვიდმა სინაზემ!

– დიახ, დიახ, მიყვარხარ, – ცხადად გაიგონა პატარა უფლისწულმა, – ჩემი ბრალია, რომ შენ ეს არ იცოდი. თუმცა ამას მნიშვნელობაც არა აქვს. მაგრამ შენც ჩემსავით სულელი იყავი. ეცადე, რომ ბედნიერების გზიდან არ გადაუხვიო. მომაშორე ეგ თალფაქი, უკვე აღარ მჭირდება.

– არც ისე გაცივებული ვარ... საღამოს სიგრილე მომიხდება. ყვავილს სიგრილე არ მაწყენს.

– რა იცი, ათასი ნადირი დაეხეტება, მწერებიც ბლომად არიან...

– თუ პეპლების გაცნობა მინდა, ორი-სამი მუხლუხოც როგორმე უნდა ავიტანო. პეპლები, ვიცი, ლამაზები არიან, აბა, იმათ გარდა, ვინ მომინახულებს! შენ შორს იქნები. მტაცებელი, დიდი ცხოველებისა კი სულაც არ მეშინია. ბრჭყალებზე თუ მიდგა საქმე, ბრჭყალები მეცა მაქვს.

და მან ყვავილური გულუბრყვილობით უჩვენა თავისი ოთხი ეკალი. მერე დასძინა:

– წადი თუ მიდიხარ, ნუღარ აჭიანურებ! აუტანელია ჯანჯალი, წასვლა სჯობს წარმავალისაო, ხომ გაგიგონია!

ყვავილს არ უნდოდა, რომ პატარა უფლისწულს ის ატირებული დაენახა. ეს უჩვეულოდ ამაყი ყვავილი იყო...



X

პატარა უფლისწულის ასტეროიდის ყველაზე ახლოისად რამდენიმე ასტეროიდი იყო – 325, 326, 327, 328, 329 და 330. სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა, რომ ჯერ იმათ სწვეოდა: რაღაც საქმეც უნდა ენახა და თანაც რამე ესწავლა კიდეც.

პირველ ასტეროიდზე მეფე ცხოვრობდა. ძოწეულმოსილს და ყარყუმის ტყავმოსხმულს ძალიან უბრალო და მაინც დიდებულ ტახტზე მოერთხა ფეხი.

– ქვეშევრდომიც გვეახლა! – წამოიძახა მეფემ, როგორც კი პატარა უფლისწული მოიხილა.

„მაინც რანაირად მიცნო? – გაიფიქრა პატარა უფლისწულმა. – დღემდე თვალით არ ვუნახივარ?“

(გაგრძელება იქნება)

◎ ადამიანი დროში

დღესაც ენგურივით მჩქეფარე ჭუბურხინჯელი...

არიან ადამიანები, რომლებიც არ ხმაურობენ, მაგრამ საზოგადოებისთვის კარგ საქმეს აკეთებენ, არ ხმაურობენ, მაგრამ დიდ ეროვნულ საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ბიზნესის და ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, ღვაწლმოსილი პროფესორი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება პარმენ ლემონჯავა. ის დამსახურებულად ასულია მწვერვალამდე, სადაც ყველა ვერ აღწევს.

პროფესორ პარმენ ლემონჯავას, რომელიც მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე, 80 წელი შეუსრულდა.

პროფესორ პარმენ ლემონჯავას გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის: ოთხი სახელმძღვანელო და ხუთი მონოგრაფია. მას სახელმძღვანელოსთვის „ბუნების გამოყენების ეკონომიკა“ – მინიჭებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია. იყო ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის რედკოლეგიის წევრი, ამჟამად კი არის ჟურნალ „სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების“ რედკოლეგიის წევრი და ამ ჟურნალის რედაქტორის მოადგილე, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

პროფესორი პარმენ ლემონჯავა ჯეროვნად ათავსებდა პედაგოგიურ-მეცნიერულ მოღვაწეობას სამეურნეო პრაქტიკულ საქმიანობასთან. ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშაკი, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სამი მოწვევის მდივანი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე ფაკულტეტის ორი მოწვევის სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი. გავლილი აქვს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში.

პარმენ ლემონჯავა დაიბადა მდინარე ენგურის ნაპირზე, შავი ზღვისპირა ულამაზეს სოფელ ჭუბურხინჯში.

1954 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1960 წელს – სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1962-1968 წლებში იყო უნივერსიტეტის ასპირანტი. 1970 წელს დაიცვა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის, 1990 წელს – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1989

წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

პროფესორ პარმენ ლემონჯავას კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკური თეორიის, ბუნების გამოყენების ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკული გამოყენების და საბაზრო ეკონომიკის პრობლემები. მისი კონსულტაციითა და ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორი პარმენ ლემონჯავა კითხულობდა და დღესაც კითხულობს ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკის პრინციპების, ბუნების გამოყენების ეკონომიკის, ეკონომიკური ეკოლოგიის პოლიტიკის კურსებს თბილისის სახელმიწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

დიდია პროფესორ პარმენ ლემონჯავას დამსახურება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ბუნების გამოყენების ეკონომიკის სასწავლო კურსად ჩამოყალიბების პროცესში. პირველად მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ბუნების გამოყენების ეკონომიკური კურსი და ამავე სახელწოდებით შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალობა „ბუნების გამოყენების ეკონომიკა“, გამოშვებულია ამავე სპეციალობის რამდენიმე სპეციალისტი.

ბატონი პარმენი გამორჩეულია ამხანაგებში ყურადღებით და თავაზიანობით. არის საოცრად თავმდაბალი პიროვნება. ამასთან, სადაც საჭიროა არის უაღრესად პრინციპულიც. კარგი ავტორიტეტით სარგებლობს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის.

ამჟამად მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. არის ემერეტიუსი, ლექციებს კითხულობს მისთვის ჩვეული ენერგიით.

ცნობილია, როგორც კეთილშობილი, კაცური კაცი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყველასადმი სიყვარული. ის დღესაც უშურველად ახმარს მთელ ენერგიას ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

პროფესორ პარმენ ლემონჯავას აქვს ტრადიციული ქართული ოჯახი, ჰყავს მეუღლე, შვილი და შვილიშვილები.

პროფესორ პარმენ ლემონჯავას ვუღოცავთ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და ყველა სფეროში წარმატებას.

გულთაზ ლაბარტყავა,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.

◎ ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

რატომ ვკვეცავთ ოთხ საუკუნეს?!

გაიხარებ, აბა რა იქნება, როდესაც შეიტყობ: ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად უღიარებიაო.

და სავსებით გაიზიარებ დიალოგის სწორედ ასე დასათაურების აუცილებლობასაც: „იუნესკომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული დამწერლობა უნიკალურია“.

დიალოგი გამოქვეყნებულია 9 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე.

ჟურნალისტ მანანა ნოზაძეს ესაუბრება საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ავთანდილ არაბული, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა იმ პროცესში, ასეთი წარმატებით რომ დაგვირგვინდა.

პროცესს იგი შეადარებდა სტრასბურგის სასამართლოში პროცედურების ხანგრძლივობას: იუნესკოშიც უამრავი ნომინაციაა წარდგენილი და ათასიდან ალბათ ათიოდე თუ მტკიცდება. ჩვენც რიგს ველოდებითო.

და აი ბოლოს და ბოლოს განიხილავდნენ და... კიდეც მიანიჭებდნენ საძიებელ სტატუსს ჩვენს დამწერლობას.

ამის მომზადებას კი დასჭირდებოდა საკმაო გარჯა, რაკიღა დოკუმენტურად ეს ნომინაცია საკმაოდ რთული გასაფორმებელი იყო.

ავთანდილ არაბული დიდი პატივისცემით მოიხსენიებს საქართველოს კულტურის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს, როგორც „არაჩვეულებრივ სპეციალისტებს“, ამ საქმეში ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებს რომ ჩართავდნენ, მათ შორის ენათმეცნიერების ინსტიტუტსაც – აქტიურად, რათა სრულყოფილად დასაბუთებულიყო, რომ ქართული დამწერლობა მსოფლიო დამწერლობათა შორის უნიკალურია.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი აღტაცებას გამოთქვამს ამ საქმის წარმართვით:

– ფაქტია, რომ დოკუმენტი უნაკლოდ მომზადდა.

და პოპულარული სახით აცნობს მკითხველს ამ წარმატების მნიშვნელობასაც და ქართული ანბანის სამივე სახეობის თავისებურებასა და უნიკალურობასაც.

და მკითხველისთვისაც არაერთი რამ აღმოჩნდება საგულისხმოც და თავმოსაწონებელიც.

და ნეტა ის პასაჟი არა გვჭრიდეს ყურს, როდესაც ენათმეცნიერი ახსენებს ქართული ასომთავრული ანბანის შექმნას უხსოვარ დროში, მაგრამ დასძენს, რომ:

– მეხუთე საუკუნიდან უკვე მოგვეპოვება ასომთავრული ძეგლების მყარი დოკუმენტაცია, როგორც ეპიგრაფიკული, ისე საარქივო მასალა.

მეხუთე საუკუნეც თავისთავად რაოდენ მნიშვნელოვანია და დიდ სიძველეზეც მეტყველებს, მაგრამ როდესაც „ასომთავრული ძეგლების მყარ დოკუმენტაციას“ ვირწმუნებით, რატომ გვრჩება მხედველობიდან პავლე ინგოროყვას მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა: „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა (I საუკუნე ახალი წელთაღრიცხვისა)“?

ეს ნაშრომი ცალკე წიგნაკად მხოლოდ 2015 წელს გამოიცემოდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით და დაერთვოდა მარიამ ნინიძისა და ვლადიმერ ჭელიძის ერთობლივი გამოკვლევა, რომელიც ადასტურებდა პავლე ინგოროყვას აღმოჩენის სისწორესა და დამაჯერებლობას მისი ისტორიოგრაფიული კვლევების კვალზე შემდგარი: „ქართული დამწერლობის მოდელი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ქართული წარწერები“.

ცალკე წიგნაკი ცალკე წიგნაკად, მაგრამ ეს ნარკვევი ხელმისაწვდომი გახლდათ მკვლევართათვის 1978 წელს გამოცემულ პავლე ინგოროყვას თხზულებათა IV ტომის მეოხებითაც, უფრო ადრე კი, 1941 წელს გამოჩნდებოდა: „ენიმკის მოამბის“ მე-10 ნომერში.

პავლე ინგოროყვა შეისწავლიდა მცხეთა-არმაზის გათხრების წყალობით მოპოვებულ I საუკუნის ვერცხლის ლანგარსა და სტელას, გახსნიდა მათზე გამოსახულ ლიგატურებს და ხელშესახებს გახდიდა და დოკუმენტურად დაადასტურებდა ხუთი ასომთავრული ასონიშნის არსებობას.

სწორედაც დოკუმენტურად დაადასტურებდა.

დღესდღეობით არსებობს ორგვარი დამოკიდებულება ამ მართლაც სენსაციური აღმოჩენის მიმართ:

ერთი მხრივ – მეცნიერული, სავსებით დამაჯერებლად და არგუმენტირებულად გაზიარება პავლე ინგოროყვას დასკვნებისა.

და მეორე მხრივ – არამეცნიერული, ზერელე და ტენდენციური, რაც გამოიხატება დაუსაბუთებელ იგნორირებაში.

2015 წლის გამოცემის ანოტაციის ბოლოს აღნიშნულია:

– დღეს, როდესაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ იუნესკოში წარდგენილია მასალები ქართული დამწერლობის სამივე სახეობისათვის მსოფლიო მნიშვნელობის არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად, პავლე ინგოროყვას ამ სენსაციურ აღმოჩენას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

არამცთუ იმ დოკუმენტაციაში არ ჩართეს ეს სენსაციური მონაპოვარი, კვლავაც მონდომებით ჩქმალავენ.

არადა:

მეხუთე საუკუნე თუ გვეამაყება, პირველი საუკუნე უფრო საამაყო არ უნდა იყოს?

სიამაყესაც თავი დავანებოთ:

რატომ გადმოგაქვს მეხუთე საუკუნეში ის, რაც ქრონოლოგიურად გაცილებით ადრინდელია და პირველი საუკუნით თარიღდება?

რა უფლებით ვკვეცავთ ხელოვნურად ამდენ საუკუნეს?

საერთაშორისო ასპარეზზე გავდივართ და... ოღონდაც პავლე ინგოროყვას პიროვნება და მეცნიერული ღვაწლი მივჩქმალოთ, ამდენ საუკუნეს დაუნანებლად ვატანთ ქარს?

არ მითხრათ ახლა: ხუთად ხუთი ასოა მცხეთა-არმაზის ვერცხლის ლანგარსა და სტელაზე ამოტვიფრულიო.

მთელს ანბანს ხომ არ ჩამოწერდნენ გვერდით დეკორირებისათვის – მარტო ეს ხუთი ასონიშანი კი არ ვიცით, ანბანი მთლიანადაც მოგვეპოვებაო?! რაც დასჭირდათ, კიდეც გამოიყენეს.

ბოლნისის ტაძარზე გამოსახული წარწერის გვერდით რა – მთელი ასომთავრულის ჩამონათვალია?

* * *

და გწყდება კიდევ ერთხელ გული, რომ არაფრისდიდებით არ შეიძლებოდა ამისთანა მარჯვე შემთხვევის ხელიდან გაშვება და იმ „უნაკლოდ მომზადებულ დოკუმენტში“ აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო ეს ქრონოლოგიური მიჯნა ჩვენი ასომთავრული ანბანის დოკუმენტური დადასტურებისა – პავლე ინგოროყვას აღმოჩენის კვალობაზე: ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე.

თუმცა ახლაც შეიძლება მივაწოდოთ იუნესკოს ეს დამატებითი ცნობები – მითუმეტეს ჩვენი ანბანის სამივე სახეობის მსოფლიო აღიარების შემდეგ მეტი საშუალება გვიჩნდება ურთიერთობის გასაგრძელებლადაც და გასაღრმავებლადაც.

ბოლოს და ბოლოს, ქართული ანბანი ეროვნული კუთვნილებაა და არა უწყებრივი მოვლენა.

როსტომ ჩხეიძე

აფხაზეთსა და ცხინვალში ანტირუსული განწყობა დინამიკურად იზრდება

რუსულ გამოცემა „Независимая газета“-ს პუბლიკაციაში გაანალიზებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტი — „რუსეთის საგარეო პოლიტიკური კონცეფცია“, რომელშიც საქართველოც არის მოხსენიებული, თუმცა, როგორც სტატიის ავტორი ალექსანდრე რუსეცკი აღნიშნავს, თბილისის ინტერესები სრულიად იგნორირებულია.

საინფორმაციო სააგენტო **„ნიუსპრესი“** გთავაზობთ ამონარიდს პუბლიკაციიდან:

„დოკუმენტში რუსეთის პრიორიტეტებს შორის წარმოდგენილია პუნქტი სახელწოდებით — „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებისადმი დახმარება მათი თანამედროვე დემოკრატიულ, სამართლებრივ-სახელმწიფოდ გადაქცევისათვის, საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების, ეკონომიკური აღდგენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“. რომელ დემოკრატიაზე და სამართლიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებით არის დევნილი და მშობლიურ ადგილებში დაბრუნება არ შეუძლია? მოსკოვი, ფაქტობრივად, მხარს უჭერს კონფლიქტის არა იმდენად მშვიდობიან მოგვარებას, არამედ ამ ყოფილი ავტონომიების ეთნოპოლიტიკურ რეჟიმებს(...)

საქართველოსთან მიმართებით ამ სტრატეგიულ დოკუმენტში გამოხატულია ყველაზე მკაცრი და შეიძლება ითქვას, ულმობელი პოზიცია, რომელიც, ფაქტობრივად, 2008 წლის სამხედრო-პოლიტიკური კამპანიის ინფორმაციული უზრუნველყოფის პროცესის გაგრძელებას წარმოადგენს. ამასთან, რუსეთის პოლიტიკური „ქველმოქმედება“ საქართველოს მოსახლეობის შესაბამის (ნეგატიურ) განწყობას იწვევს. სხვათა შორის, ანტირუსული განწყობები შეიმჩნევა აფხაზეთსა და სამხეთ ოსეთშიც. იზრდება არამარტო მისი დინამიკა, არამედ ხარისხიც. ყველაზე ნათლად უარყოფითი სტერეოტიპი ახალგაზრდა თაობის განწყობაზე ჩანს. ამგვარი მოქმედებით მოსკოვი „ძირს უთხრის“ იმ ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც კონფრონტაციული პოლიტიკიდან კონსტრუქციულ დიალოგზე გადასვლას ცდილობენ. კრემლის ასეთი მოქმედება თბილისში ანტირუსულ ფონს აძლიერებს.

არადა, რა კარგი იქნებოდა, რომ ამ დოკუმენტის „ე“ პუნქტი შესრულებულიყო, რომელიც ასე ჟღერს: „მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება, დაძაბულობის განმუხტვა და მათ ტერიტორიებზე არსებული კონფლიქტების აღმოფხვრა და მათი თავიდან აცილება“. რუსეთი რეალურ მშვიდობისდამცველად უნდა იქცეს და მომხდარი კრეატიულად უნდა გააცნობიეროს. ამისათვის მოსკოვს შესაძლებლობები რეალურად აქვს. აუცილებელია არსებული სამშვიდობო რესურსების გაძლიერება, ფორმალურ-არაფორმალური დიპლომატიური მეთოდებით სარგებლობა. მართალია, ეს ყველაფერი დოკუმენტში თითქოს გათვალისწინებულია, მაგრამ რა იქნება სინამდვილეში? მხოლოდ იმის იმედი დაგვრჩენია, რომ მხოლოდ დეკლარაცია არ იქნება, არამედ სტრატეგიის რეალური იმპლიმენტაცია, რომლის მიხედვით, რუსული „რბილი ძალა“ გამოყენებული იქნება არა დივერსიული, არამედ ჭეშმარიტად მშვიდობიანი მიზნებისათვის.

„აბაშიძე-კარასინის“ ფორმატმა მხარეებს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში შექმნილი სიტუაციის გაცნობიერების საშუალება მისცა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პოტენციალი სრულად ვერ იქნა გამოყენებული. ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა, რომ „აბაშიძე-კარასინის“ კულტურულ-ეკონომიკური ფორმატიდან სამხედრო-პოლიტიკური მოგვარების ფორმატზე გადასვლა მომხდარიყო. ეს რთული ამოცანაა, დიდი ინტელექტუალური და პოლიტიკური ნების გამომჟღავნებას მოითხოვს, მაგრამ ქართულ-რუსული მოლაპარაკების დივერსიფიცირებისა და მისი ინტენსივობის მომატების გარეშე ჩიხიდან გამოსვლა შეუძლებელი იქნება. მართალია, ჟენევის დისკუსიის შესაძლებლობები ჯერ არ ამოწურულა, მაგრამ მისი ეფექტურობა ძალიან დაბალია. ამის მიზეზები მასში თავიდანვე ჩადებული „ნულოვანი აქტიურობაა“, ანუ დისკუსიები გათვლილია არა სამშვიდობო პროცესის წინსვლისათვის, არამედ კონფლიქტის სტატუს-კვოს ფიქსაციისათვის, რაც დაპირისპირებას კი არ ასუსტებს, არამედ მის ესკალაციას უფრო ახდენს. თუ ამ დისკუსიების საგარეო ფონი შეიცვლება, მაშინ სრულიად შესაძლებელია დადებითი შედეგების მიღება. არაა გამორიცხული, რომ აშშ-ში ახალი ადმინისტრაციის ჩამოყალიბების შემდეგ სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვალოს. საჭიროა კონფლიქტის მოგვარების ახალი დოქტრინა (...)

თუ რუსეთს ნამდვილად აქვს იმის ამბიცია, რომ მოსკოვის როლი სამართლიანად და მშვიდობისმოყვარულად იქნეს აღქმული, მაშინ კრემლმა უნდა აღიაროს „მეორე“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არსებობა. რუსეთი მედიატორად უნდა გამოვიდეს ომით ორად გაყოფილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის საზოგადოებათა შესარიგებლად. ეს იქნება დიალოგი მოსახლეობის იმ ნაწილებს შორის, რომლებთაც საქართველოსგან ჩამოშორება სურთ და რომლებსაც არ სურთ. ეს დღევანდელი დღის პოლიტიკური რეალობას წარმოადგენს იმ მავთულხლართებთან ერთად, რომლებიც ოჯახებს ჰყოფენ. მოსკოვი ან საქართველოს კონფლიქტებში ჩაეფლობა, ან ახალ გეოპოლიტიკურ თამაშს დაიწყებს („სუფთა ფურცლით“). დღეს ამის შანსი არსებობს. არის კარგი პერსპექტივა იმისა, რომ განახლდეს რუსეთ-ნატოს და ეუთოს ფორმატით მუშაობა, ანუ სახეზეა საკმაოდ ბევრი რესურსი. და რადგანაც რუსეთი ეუთოს საერთოევროპული უსაფრთხოების მნიშვნელოვან მექანიზმად განიხილავს, ალბათ, საჭირო იქნება შეიქმნას „ეუთოს ინსტიტუტი“, რომლის საერთაშორისო კვლევითი გუნდი არსებული კონფლიქტების მოგვარების მეცნიერულად გათვლილ ალტერნატიულ ვარიანტებს შეიმუშავებდა.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

საქართველოში სეპარატისტულად განწყობილი სომხების ანტიქართული მიზნები სულ უფრო მეტად ჩანს

აზერბაიჯანულ გამოცემა „Каспій“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილულია სომხეთის დამოკიდებულება ევროკავშირთან და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან იმ შემთხვევაში, თუ ერევანი, როგორც დაგეგმილია, ხელს მოაწერს ბრიუსელთან ასოცირების ხელშეკრულებას. რა მოხდება ამ შემთხვევაში? სომხეთის მთავრობა მშვენივრად ხვდება იმას, რომ ახალ კარს კი აღებს, ევროკავშირის სახით, მაგრამ ამით მეორეს ხურავს, ევრაზიული კავშირის სახით, ანუ ორ სკამზე ჯდომა შეუძლებელია.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

ამჟამად, სანამ სომხეთი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია, ერევნისათვის ვაჭრობა კავშირის წევრებთან და თავის მეზობელ საქართველოსთან შეღავათიანია. მაგრამ როგორ მოაგვარებს სომხეთი თავის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, როცა მეზობელთან ვაჭრობა შეღავათიანი აღარ იქნება? ერევანს ხომ ისედაც არა აქვს „საინვესტიციო ხიბლი“ და თურქეთ-აზერბაიჯანის მხრიდან ბლოკადაში იმყოფება, ხოლო ერთადერთი სახმელეთო გზა, რომელიც სომხეთს ევრაზიული კავშირის წევრებთან აკავშირებს, საქართველოს ტერიტორიაზე გადის და ბუნების კაპრიზებზეა დამოკიდებული. გავიხსენოთ, რომ ამას წინათ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა, როცა ამ გზის მნიშვნელობაზე საუბრობდა, განაცხადა, რომ „ერთ-ერთი მხარე“ მაგისტრალის მუშაობით დაინტერესებული არ არისო.

ალბათ, პრემიერ-მინისტრს მხედველობაში საქართველო ჰქონდა, ეს გასაგებიცაა — რატომ უნდა გააუმჯობესოს საქართველომ რუსეთ-სომხეთის ლოჯისტიკა? ერთი მხრივ, თბილისს დაძაბული ურთიერთობა აქვს რუსეთთან, მეორე მხრივ კი საქართველოში სულ უფრო მეტად ჩანს სეპარატისტულად განწყობილი სომხების ანტიქართული მიზნები.

სომხეთი ძალიან საინტერესო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ორი მეზობელი — თურქეთი და აზერბაიჯანი მას ღიად ბლოკავს, ხოლო დანარჩენ მეზობლებთან — საქართველოსთან და ირანთან ვაჭრობას „მოკავშირე“ რუსეთი უბლოკავს თავისი ევრაზიული წესებით. რა რჩება სომხეთს ასეთ შემთხვევაში? ის, რომ კავკასიურ საბერძნეთად იქცეს, ანუ ფული ისესხოს. ახლახან გაცხადდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ერევანს ჯამში თითქმის 70 მილიონ დოლარს გამოუყოფენ, მაგრამ ეს საგარეო ვალს მკვეთრად გაზრდის. ვალი კი სომხეთს ისეთი დიდი აქვს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს აღწევს.

სტატიის დასასრულ ავტორი აღნიშნავს: „აპრილში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სომხეთს ორი გზა რჩება: ან გავიდეს ევრაზიული ეკონომიკური კავშირიდან და მსოფლიო ბაზართან ურთიერთობა გააგრძელოს, ან გამოაცხადოს დეფოლტი და ევრაზიულ კავშირს ხელებაწეული ჩაბარდეს“.

ალი საიდოვი.

„Каспій“ (აზერბაიჯანი)

ვენესუელამ კოლუმბიასთან საზღვარი ჩაკეტა

ვენესუელამ კოლუმბიასთან საზღვარი 72 საათით ჩაკეტა. გადაწყვეტილება პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ მიიღო. მისი განმარტებით, საზღვარზე არსებული ვითარება ვენესუელის ეკონომიკას კატასტროფულ მდგომარეობაში აყენებს და ეროვნულ ვალუტას აუფასურებს. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფების შემდეგ ვენესუელაში მწვავე სასურსათო კრიზისი დაიწყო. ადგილობრივები პროდუქტების შესაძენად მეზობელ კოლუმბიაში გადადიან.

ჩინეთმა ნავთობის მოპოვება შეამცირა

ჩინეთი, რომელმაც 2015 წელს მსოფლიოში მეხუთე ადგილი დაიკავა ნავთობის წარმოებაში მიმდინარე წელს ნავთობის წარმოება შეამცირა 300 ათასი ბარელით დღე/ღამეში. კომპანია Energy Aspects Ltd-ის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2017 წელს ჩინეთი ნავთობის მოპოვებას შეამცირებს 200 ათასი ბარელით დღე-ღამეში.

მიმდინარე წლის 10 დეკემბერს ოპეკის შეხვედრაზე ვენაში მიიღეს გადაწყვეტილება ნავთობის მოპოვების შემცირებასთან დაკავშირებით 2017 წლის იანვრის თვიდან 558 ათასი ბარელით დღე-ღამეში. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ოპეკში არშემავალმა თერთმეტმა ქვეყანამ.

საფრანგეთში მძარცველებმა 70 კგ ოქრო გაიტაცეს

ინციდენტი ქალაქ ლიონის მახლობლად მოხდა. მძარცველებმა ინკასაციის მანქანას გზა გადაუღობეს, მილიონ 600 ათასი დოლარის ღირებულების ოქრო გაიტაცეს და დაცვის წევრები მანქანაში ჩაკეტეს. შემთხვევის ადგილიდან მიმალვისას მათ თავიანთ ავტომობილს ცეცხლი წაუკიდეს და სამხილები გაანადგურეს. ხანძარი სხვა მანქანებს, მათ შორის, საინკასაციო მიკროავტობუსსაც მოედო, თუმცა დაცვის თანამშრომლების გამოყვანა ძალოვანებმა მანქანიდან დროულად შეძლეს.

დონალდ ტრამპი წლის ადამიანად კიდევ ერთხელ აღიარეს

დონალდ ტრამპი წლის ადამიანად კიდევ ერთხელ აღიარეს. ამჯერად ეს ტიტული არჩეულ პრეზიდენტს „ფაინენშლ თაიმსმა“ მიანიჭა. „არჩევნებამდე ბევრი ფიქრობდა, რომ ტრამპის გამარჯვება შეუძლებელი იყო, თუმცა ეს მოხდა. დონალდ ტრამპმა პოლიტიკური თამაშის წესები შეცვალა,“ — ნათქვამია „ფაინენშლ თაიმსის“ პუბლიკაციაში. მანამდე ტრამპი წლის ადამიანად გამოცემა „თაიმმა“ აღიარა.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზურაბ ჩხენკელის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზურაბ ჩხენკელი (პ/ნ 42001009829), ქ. ფოთი, შავი ზღვის ქ. №3;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, შავი ზღვის ქ. №3 (საკადასტრო კოდი: 04.01.06.003).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17813.92 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 14 დეკემბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 28 დეკემბერი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP38370916;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 383709
6. **მოვალე:** შპს „სი&ჯეი ლოგისტიკს გრუპი“ (ს/ნ 415089077), ქ. ფოთი, გ. სააკაძის ქ. №63;
ოლეგ ჯანჯღავა (პ/ნ 42001007543), ქ. ფოთი, გ. სააკაძის ქ. №63;
ზურაბ ჩხენკელი (პ/ნ 42001009829), ქ. ფოთი, შავი ზღვის ქ. №3.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP38370916; ლოტის ნომერი: 383709).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 27 დეკემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჟუჟუნა მაღრაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჟუჟუნა მაღრაძე (პ/ნ 01002019680), თბილისი, გლდანის მასივი, მე-6 მ/რ, მე-8 კორპუსი, ბინა №9;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, გლდანის მასივი, მე-6 მ/რ, მე-8 კორპუსი, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 01.11.10.010.004.01.009).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 56360.44 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 14 დეკემბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 28 დეკემბერი, 15:15 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP38372116;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 383721
6. **მოვალე:** ჟუჟუნა მაღრაძე (პ/ნ 01002019680), თბილისი, გლდანის მასივი, მე-6 მ/რ, მე-8 კორპუსი, ბინა №9;
სოფიო ელკანიშვილი (პ/ნ 01025012968), თბილისი, გლდანის მასივი, მე-6 მ/რ, მე-8 კორპუსი, ბინა №9.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP38372116; ლოტის ნომერი: 383721).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 27 დეკემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

წითელქუდას საიდუმლოებანი

რა დაუმალა მკითხველს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ზღაპრის „წითელქუდას“ ავტორმა შარლ პერომ? რა ამოიღო და რა დაუმატა მან ხალხურ ზღაპარს? რატომაა, რომ პატარა გოგონას მგელთან ლაპარაკისა არ ეშინია? განა იგი ვერ ხედავს, რომ მის წინაშე საშიში მხეცია? ვინ ჰგონია ის და გაქცევას რატომ არ ცდილობს?

ამ კითხვებს ბევრი მშობელი უსვამს საკუთარ თავს, როცა თავის პირმშოს „წითელქუდას“ უკითხავს. ტყის ბილიკზე მგელთან შეხვედრა და საუბარი ზღაპრისთვისაც კი, ცოტა არ იყოს, არაბუნებრივია – გოგონა ყოველგვარი შიშის გარეშე ელაპარაკება მგელს, რომლის მოდგმას ხალხი მუდამ უფრთხოდა. და, რატომაა, რომ წითელქუდას მგელი ბებია ჰგონია? ნუთუ იგი ასეთი შტერი და სულელია?

ამ უცნაურობათა გასაგებად საჭიროა იმ ხალხურ ზღაპარს მივუბრუნდეთ, რომლის საფუძველზე შექმნა შარლ პერომ თავისი „წითელქუდა“. მას „ზღაპარი ბებიაზე“ ეწოდება და დაახლოებით ისევე იწყება, როგორც ეს შემდგომ ფრანგმა მეზღაპრემ დაწერა: „ერთხელ ქალმა პური გამოაცხო და თავის გოგონას უთხრა: „ეს თბილი ფუნთუშა და ბოთლი რძე ბებიას წაუღე“. გზაჯვარედინზე კი მას ბზუ (bzou) შემოხვდა, რომელმაც ჰკითხა: „საით გაგიწევია?“. მკვლევარები დიდი ხანია, ტვინს იჭყლეტენ იმის გასაგებად, ვინაა ეს „ბზუ“? ეს ზღაპარი ბურგუნდიაში ფოლკლორისტმა აქილევს მილიენმა ჩაიწერა, რომელსაც უთხრეს, რომ ადგილობრივ დიალექტზე ასე მაქცია-მგლებს უწოდებენ. ეს გარემოება კი ზუსტად ხსნის, თუ რატომ ელაპარაკება წითელქუდა მგელს ყოველგვარი შიშის გარეშე – იგი მას ჩვეულებრივი ადამიანი ჰგონია. აქედან გამომდინარე, თავისთავად „იშიფრება“ მისი დიალოგი ლოგინში მწოლიარე „ბებიასთან“, რომელიც თანდათან მგლად გადაიქცევა.

მრავალი კვლევის შემდეგ, მეცნიერებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ შარლ პერომ მაქცია პერსონაჟი მგლით ეპოქის მოთხოვნის შესაბამისად შეცვლა, როცა ერთიანი ფრანგული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად მეფე ლუდოვიკო XIV კარდინალურ რეფორმას ატარებდა. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანაში ცრურწმენებს, ჯადოსნობას, მაქციებზე ხმებსა და ა.შ. ებრძოდნენ. ამიტომაც შარლ პერომ ჩვეულებრივი სოფლელი გოგონა მომხიბლავ მოზარდად აქცია, მას კოხტა წითელი ქუდი დაახურა (ხალხურ ზღაპარში იგი თავშიშველაა), მაქცია კი მგლად გარდასახა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ზღაპარი შექმნა.

თუმცა ერთი კია: თავად მეზღაპრის თხზულებაში ბოლო ტრაგიკულია – წითელქუდაც და ბებიაც იღუპებიან, მაგრამ, როცა კი ზღაპარი ისევ „ხალხში დაბრუნდა“, მას კვლავ კეთილი ბოლო მოუგონეს – ბებიასა და შვილიშვილს სიახლოვეს მყოფი მონადირეები შველიან. სწორედ ამ სახით ჩაიწერეს და გამოსცეს შარლ პეროს ზღაპარი გერმანელმა ძმებმა გრიმებმა.

საინტერესოა, რომ თითქმის ყველა თანამედროვე გამოცემაში სწორედ ზღაპრის ძმებ გრიმებისეული ვერსიაა მოყვანილი, თუმცა კი ავტორად მუდამ... შარლ პეროს უთითებენ.

„ფისო, ბოდი ჩვენსა...“

შინაურ ცხოველთა შორის კატას, უდავოდ, განსაკუთრებული ადგილი უკავია ბევრი ნიშან-თვისების წყალობით. მარტო ის რად ღირს, რომ საკმარისია კატას ერთხელ გადაუსვათ ხელი, რომ დამშვიდდეთ და არტერიულმა წნევამ დაგიწიოთ. ამიტომაც, იმ ოჯახებში, სადაც კატები ცხოვრობენ, ადამიანები ერთმანეთის მიმართ უფრო მეგობრულად არიან განწყობილი, ჰარმონიაში ცხოვრობენ და სტრესებსაც უფრო ადვილად იტანენ.

კატის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 14 წელია. მაგრამ, 2011 წლის იანვრის მონაცემებით, ყველაზე ასაკოვანი ბრიტანელი კატა ლუსი 39 წლისა იყო. დღესდღეობით დედმიწაზე არსებული კატის ყველა ჯიში დედის ხაზით ტრამალის კატის ქვესახეობიდანაა წარმოშობილი, რაც გენეტიკური კვლევებით დადასტურდა. საერთოდ კი მსოფლიოში დაახლოებით 600 მილიონ შინაურ კატას ითვლიან. გამოყვანილია დაახლოებით 200 ჯიშის როგორც გრძელბეწვა (სპარსული), ასევე სრულიად უბალნო (სფინქსი) კატები.

ჯანმრთელი კატის საშუალო წონა 2,5-დან 6,5 კილოგრამამდე მერყეობს, თუმცა კი ციმბირული და მეინ-კუნის ჯიშის კატები 11,5-13 კილოგრამსაც იწონიან. ყველაზე მძიმე ხვადი კატა 21,3 კილოგრამს იწონიდა. საგულისხმოა ისიც, რომ კატა ახლო აღმოსავლეთში, მესოპოტამიაში 9,5 ათასი წლის წინათ მოაშინაურეს. როცა ადამიანებმა მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი, მათ ჭარბი საკვები გაუჩნდათ და მღრღნელებისგან მარცვლის დაცვის აუცილებლობაც წარმოიშვა.

კატებს იმდენად კარგი სმენა აქვთ, რომ თვალდახუჭულებსაც კი შეუძლიათ სივრცეში ორიენტირება ოდნავი ფაჩუნითა და წრიპინით, და ამის წყალობით თაგვების დაჭერა. წყლის თქვლეფის დროს კატა ენას წამში ერთი მეტრის სისწრაფით ყოფს. დღე-ღამეში კი მას 13-14 საათი სძინავს, თუმცა არიან ინდივიდები, რომელთაც 20 საათიც არ ჰყოფნით.

რაც უფრო სუსტი მხედველობა აქვს კატას, მით უფრო გრძელია და სქელი მისი ვიბრისები (ულვაში), რომლებითაც იგი სივრცეში ორიენტირებს. კატებს კი, რომლებსაც სუსტი მხედველობა ახასიათებთ, ულვაში 8 სანტიმეტრზე გრძელი აქვთ.

კატის თვალის შუქისადმი მგრძნობელობა ადამიანისას შვიდჯერ აღემატება. ეს მტაცებლები კარგად ხედავენ სუსტი განათების პირობებშიც კი, თუმცა კი კაშკაშა სინათლეზე მათი მხედველობა ჩვენსას ჩამოუვარდება.

ნინო ალექსანდრია

◎ ლეგიონერები

გიორგი ქვილითაია:
ასე უნდა გავაგრძელო...

ვენის „რაპიდის“ შემადგენლობაში გიორგი ქვილითაიამ დუბლი პირველად მიითვალა. ქართველმა შემტევმა „რიდის“ კარი ორჯერ დალაშქრა. ქვილითაიამ აღნიშნული თამაში შეაფასა და შესრულებული დუბლის გამო კმაყოფილებაც გამოთქვა.

„ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ჩვენთვის, რადგან ბოლო თამაშები ვერ მოვიგეთ. კარგია, რომ საკუთარ მოედანზე მოვიგეთ, რადგან მნიშვნელოვანი გახლდათ ჩვენთვის, ფანებისთვის და ბედნიერები ვართ ამ გამარჯვებით.

დიახ, ერთ მატჩში ორი გოლი პირველად გავიტანე და ძალიან ბედნიერი ვარ. ვეცდები, ასევე გავაგრძელო“, — უთხრა „რაპიდის“ ვებგვერდს ქვილითაიამ.

გიორგი ქვილითაიას ანგარიშზე „რაპიდში“ 5 გოლია: 3 ავსტრიის ბუნდესლიგაში, 1 ავსტრიის თასზე და ერთიც ევროპა ლიგაზე. შეგახსენებთ, იგი ვენაში ზაფხულში, „დინამო“ თბილისიდან გადავიდა.

გიორგი ზოთაძე

„აიაქსის“ მწვრთნელი:
„ვარშავის „ლეგიაზე“ მხოლოდ ის ვიცი, რომ იქ ყაზაიშვილი თამაშობს“

ევროპის ლიგის 1/16 ფინალში ერთმანეთს ამსტერდამის „აიაქსი“ და ვარშავის „ლეგია“ შეხვდებიან. ვაკო ყაზაიშვილი „ლეგიას“ ფეხბურთელია და იყო პერიოდი, როცა იგი „აიაქსს“ სურდა. ვაკოს კარიერაში სამჯერ გაუტანია გოლი ამსტერდამული გრანდისთვის.

„აიაქსს“ „ვიტესის“ ყოფილი თავკაცი პეტერ ბოში წვრთნის, რომელმაც ყაზაიშვილის შესაძლებლობები კარგად იცის. ვაკო სწორედ მისი მწვრთნელობისას გახდა „ვიტესის“ ძირითადი თერთმეტეულის ფეხბურთელი.

„ვარშავის „ლეგია“? მხოლოდ ის ვიცი, რომ იქ ყაზაიშვილი თამაშობს. ძალიან კარგი ფეხბურთელია, „ვიტესში“ თამაშობდა ჩემი მწვრთნელობისას“.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ცინცაძემ პასების რეკორდი გაიმეორა

საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ოცდამეექვსე ეროვნული ჩემპიონატის მეათე ტურში, „ქუთაისი“ — „რუსთავის“ შეხვედრის დროს, მასპინძელთა გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ თორმეტი ზუსტი პასი გააკეთა და მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდი გაიმეორა, რომელიც „დინამოს“ ამერიკელ ლეგიონერს, გამთამაშებელ დეონტა ვონს აქვს დამყარებული.

შეგახსენებთ, რომ ვონმა აღნიშნული შედეგი მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურში, „ოლიმპთან“ თამაშის დროს აჩვენა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

მარეი ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენია

დიდი ბრიტანეთის ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენად მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ენდი მარეი დაასახელეს. აღნიშნული გამოკითხვა გაზეთმა „ტელეგრაფმა“ ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობა რვა ათასმა ადამიანმა და ცამეტმა სპორტულმა ექსპერტმა მიიღო.

მარეის კარიერაში ორჯერ უიმბლდონი (2013, 2016), ერთხელ ამერიკის ღია პირველობა (2012) და ორჯერ ოლიმპიადა მოუგია.

კობა კობახიძე

◎ ბლიცები

სწრაფ ჭადრაკში ჯოჯუამ იმარჯვა

ვერის ბაღში მდებარე ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლემ ვაჟთა შორის ბლიცებში გრან პრის გათამაშების მეოთხე, დასკვნით ეტაპს უმასპინძლა.

პრიზები ჯერ სწრაფ ჭადრაკში გათამაშდა, რომელიც ცხრა ტურად ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობის სურვილი 50 მოჭადრაკემ გამოთქვა. ცხრა შესაძლებლობიდან რვა ქულით პირველი ადგილი და მთავარი პრიზი საერთაშორისო დიდოსტატმა დავით ჯოჯუამ მოიპოვა. შვიდი ქულით მეორე ადგილზე გიგა ყუფარაძე გავიდა. 6,5-6.5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები ლუკა პაიჭაძემ და გიორგი სიბაშვილმა გაიყვეს. უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი პაიჭაძეს ერგო.

გეჟან დოლიძე

◎ ავტოსპორტი

ფორმულა 1-ში გასწრებების რიცხვი გაიზარდა

„პირელის“ მიერ მოწოდებული სტატისტიკა მეტყველებს, რომ წინა სეზონთან შედარებით, ფორმულა 1-ის გასულ სეზონში გასწრებათა რიცხვი 53 პროცენტით გაიზარდა. საბურავების ფ1-ის ოფიციალური მიმწოდებლის მონაცემებით, გასული სეზონის 21 რბოლაში სულ 866 გასწრება დაფიქსირდა. შედარებისთვის, წინა სეზონის 19 რბოლაში მხოლოდ 509 გასწრება შესრულდა.

ყველაზე მეტი შედეგიანი მანევრი „რედ ბულის“ პილოტებმა შეასრულეს — 136. აქედან 61 დანიელ რიკიარდოზე მოდის, 60 მაქს ფერსტაპენზე და 15 დანილ კვიატზე. თუმცა, ჰოლანდიელმა მრბოლმა საერთო ჯამში ყველაზე მეტი გასწრება განახორციელა — 78. აქედან 18-ჯერ მან მეტოქეებს „ტორო როსოში“ ყოფნისას გაასწრო. სხვათა შორის, ფერსტაპენმა თავის სრულ სადებიუტო სეზონში, რომელიც „ტორო როსოში“ 2015 წელს გაატარა, გასწრების 49 მანევრი შეასრულა.

„პირელი“ განსაზღვრავს, რომ გასწრებად თვლის იმ მანევრს, რომლის შედეგადაც გასწრები მოპოვებულ პოზიციას წრის ბოლომდე ინარჩუნებს. ამასთან, მის სათვალავში არ შედის საწყის წრეზე მომხდარი გასწრებები. რა თქმა უნდა, სათვალავში არ მიიღება ის გასწრებები, რომლებიც მეტოქის მანქანის ტექნიკურმა პრობლემებმა განაპიროობა და არა გამსწრების მანევრმა.

ფერსტაპენი ამბობს, რომ გასწრებები კომპიუტერულ თამაშებზე ვარჯიშებისას დაამუღამა. მათი წყალობით, მანევრის შესრულებისას ის მეტ თავდაჯერებულობას გრძნობს. საერთო ჯამში ის თავის სეზონს პოზიტიურად აფასებს და თვლის, რომ მომავალ სეზონში გაცილებით უკეთესი მანქანით და ძრავით ასპარეზობა მოუწევს, რაც მის შანსებს ერთი-ორად გაზრდის.

ერთ რბოლაში ყველაზე მეტი გასწრება ლუის ჰამილტონს აქვს შესრულებული — 18. ეს ჩინეთში დაფიქსირდა, რომლის რბოლაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა პელოტონის კუდში დაიწყო. „პირელისვე“ სტატისტიკით, ყველაზე ნაკლებჯერ სებასტიან ფეტელს გასწრეს. ერთადერთი პილოტი, ვინც მას გაუარა, ფერსტაპენია. მან ეს ბრაზილიაში შეძლო.

საწყის წრეზე ყველაზე მეტი პოზიცია ფერნანდო ალონსოს აქვს მოგებული — „მაკლარენ-ჰონდას“ პილოტის ანგარიშზე ასეთი 41 გასწრებაა. ყველაზე მეტი გასწრება ჩინურ ეტაპზე შესრულდა — 128. ეს 1983 წლის სეზონის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია. ყველაზე ნაკლები გასწრება მოხდა უნგრულ ეტაპზე — მხოლოდ 10. სამი წვიმიანი რბოლიდან, ყველაზე მეტი, 64 გასწრება ბრაზილიის დიდი პრიზის რბოლისას დაფიქსირდა.

ბადრი იაშვილი

◎ ინტერნეტიდან

სექსუალური და წარმატებული

რუსეთში ყველაფერი კარგად ახსოვთ, რაც მათ აწყობთ და სათავისოდ მიაჩნიათ, დაწყებული ლენინის სიგიჟეებითა და დამთავრებული პეტრე პირველის რეფორმებით, მაგრამ ყველას მიავიწყდა ის ამბავი, რომ ახლა უკვე პოპულარულზე-პოპულარული რუსი მოდელი, ანასტასია არხოვაცკაია ერთ დროს ხელბურთელი იყო.

არადა, ანასტასიას სპორტული კარიერა არცთუ ურიგოდ მიმდინარეობდა, მაგრამ როგორც სხვა ბევრმა ლამაზმა სპორტსმენმა ასულმა, მანაც სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში ოფლისღვრას მოდელის კარიერა და ტანისამოსისა და ნიფხავ-პერანგის დაშხოშიანად შემოძარცვა ამჯობინა.

ამ ცოტა ხნის წინათ, ანასტასია ყველაზე პოპულარულ და მიმზიდველ მოდელად დასახელდა და რუსეთში ეს წოდება, მოგეხსენებათ, როგორი რთულად მოსაპოვებელია. არხოვაცკაიას ქალი კი ამ ყველაფერს ისე კოხტად ირგებს და იშნოვებს — თქვენი მოწონებული!

როსტომ რაჭველიშვილი

რონალდუ — ოქროს ბურთის მფლობელი

2016 წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება და ოქროს ბურთი კრიშტიანუ რონალდუს ერგო. პრესტიჟული ჯილდო ფეხბურთელმა მეოთხედ მოიპოვა. ოქროს ბურთის მფლობელი რონალდუ 2008, 2013 და 2014 წლებშიც გახდა. მის მთავარ კონკურენტს ლიონელ მესის პრესტიჟული ჯილდო 5-ჯერ აქვს მიღებული.

უსინათლოთა და სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქალაქში იხსნება პირველი დაწესებულება, რომელიც უნდა გახდეს მიზიდულობის წერტილი უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებისთვის, რომლებიც, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეები, შეძლებენ ინფორმაციასთან წვდომას“ — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა თბილისში, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში ინტერნეტსერვის ცენტრის გახსნის ღონისძიებაზე განაცხადა. გიორგი გახარიას თქმით, ეს არის პირველი საინფორმაციო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია ტექნიკური დანადგარებით, მათ შორის უსინათლოთათვის განკუთვნილი ბრაილის შრიფტის მქონე კლავიატურებით და მათთვის და სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის საჭირო ყველა სხვა ტექნიკური აღჭურვილობით.

„დღეს მართლაც მნიშვნელოვანი დღეა. ასეთი საინფორმაციო ცენტრები საქართველოში ბევრი გაიხსნება. ეს არის ცენტრი, სადაც უსინათლოთათვის და სუსტად მხედველი ადამიანებისთვის იქნება სპეციალურად მოწყობილი ზონები, სპეციალური ტექნიკა, სპეციალური ტექნოლოგია, რომელიც მათ მისცემს საშუალებას, რომ იყვნენ ჩვენი საზოგადოების ჩვეულებრივი, სრულფასოვანი წევრები და ეს არის ძალზედ მნიშვნელოვანი. ამ ადამიანების პროცესში ჩართულობა, მათი ინფორმირებულობის დონე, ინტერნეტთან წვდომის ხარისხი იქნება მარტივი და ისეთივე, როგორიც არის ყველა ჩვენგანისთვის. მე მინდა, ამ მნიშვნელოვან პროექტში ჩართულ ყველა მხარეს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო“, — აღნიშნა გიორგი გახარიამ.

გაეროს ბავშვთა ფონდის იუბილე ქარვასლაში

საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუა გაეროს ბავშვთა ფონდის — unicef-ის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო, რომელიც თბილისის ისტორიის მუზეუმ ქარვასლაში გაიმართა.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ლაილა ომარ გადიმ მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. ლაილა ომარ გადიმ პირველ ლედის მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა და ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

საიუბილეო საღამოში ლიტერატურულ კამპანიაში „პატარა ისტორიები“ ჩართულმა მწერლებმა და ბავშვთა პარაორკესტრმა მიიღეს მონაწილეობა. მაკა ჩიჩუამ ღონისძიების ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა დაათვალიერა და ბავშვებთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღო.

ყოფილი დირექტორი ბრალს აღიარებს...

„ცენტრ პოინტ აჭარას“ ყოფილმა დირექტორმა ირაკლი მინდელმა სასამართლო პროცესზე დაკითხვისას წაყენებული ბრალი აღიარა. მისი თქმით, ის არ ადასტურებს მენაშენეთა კუთვნილი თანხების მითვისებასა და გაფლანგვას, თუმცა, ამის მიუხედავად, თავს დამნაშავედ ცნობს. მინდელი სასამართლოში დაკითხვამდე დუმილის უფლებას იყენებდა.

ირაკლი მინდელს სახელმწიფო ბრალდება „ცენტრ პოინტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გურამ რჩეულიშვილთან ერთად მენაშენეთა კუთვნილი მილიონ ლარზე მეტის მითვისებასა და გაფლანგვას ედავება.

გოგაშვილი გაუშვეს?

სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სოსო გოგაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გავრცელებული ინფორმაციით, გოგაშვილი შვებულებაში გავიდა, თუმცა ის სამსახურში აღარ დაბრუნდება. ამავე ინფორმაციის თანახმად, მისი გათავიუფლების შესახებ გადაწყვეტილება სუს-ის უფროსმა ვახტან გომელაურმა მიიღო. არჩევნების შემდეგ გოგაშვილს ფუნქციები შეუკვეცეს და ის სუს-ის უფროსის მეორე მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძეს გადააბარეს. „პირველი რადიო“ ინფორმაციის გადასამოწმებლად სუს-ის პრესსამსახურს დაუკავშირდა. ნინო გიორგობიანმა ინფორმაცია არ დაადასტურა.

სულთათანა

ელენე შალამბერიძე-ბარკალაია

გარდაიცვალა ქ. სენაკის უხუცესი მკვიდრი, შრომის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, საქართველოს განათლების წარჩინებული მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ელენე ერმალოს ასული შალამბერიძე-ბარკალაია.

ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ის თითქმის ნახევარი საუკუნე მოღვაწეობდა ქ. სენაკსა და სენაკის რაიონის სკოლებში სხვადასხვა თანამდებობაზე: იყო სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, სენაკის რაიონული პიონერთა სახლის პედაგოგი.

განსაკუთრებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო ელენე შალამბერიძის პედაგოგიური მოღვაწეობა ქ. სენაკის I და IV საჯარო სკოლებში.

ხანგრძლივი, ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მოღვაწეობისათვის ელენე შალამბერიძე დაჯილდოებული იყო მრავალი მედლითა და ორდენით.

განათლების უხუცესი მუშაკი, საუკუნეს მიტანებული ქალბატონი ქართული ინტელიგენციის ჭეშმარიტად გამორჩეული წარმომადგენელი გახლდათ.

ელენე შალამბერიძემ თავისი ადამიანური და მოქალაქეობრივი თვისებებით ფართო საზოგადოების, ახლობლებისა და აღმზრდელების გულთბილი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

შვილები მედეა, ბადრი, თემურ ბარკალაიები, რძლები დალი როგავა, ქეთევან ჭოხონელიძე, დისშვილი გია შალამბერიძე, ძმისშვილები მანანა, ნანა, დიანა შალამბერიძეები, შვილიშვილები ირმა, მანანა, თემურ, გიორგი, ლიკა ბარკალაიები, კოკა გვაზავა, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე ერმალოს ასული შალამბერიძე

პანაშვიდი 15,16/XII, 17 სთ. დაკრძალვა 17/XII, 14 სთ. მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. 103.

რუსლან რუსია ოჯახით, სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი და უკეთილშობილესი ქალბატონი

ელენე შალამბერიძე-ბარკალაია

და თანაუგრძნობენ შვილებს მედეა, ბადრი, თემურ ბარკალაიებს, მთელ სანათესავოსა და სენაკის ინტელიგენციას.

ტელეფონების ნომრები, რომლებიც, გარკვეულ ვითარებაში, შეიძლება, თითოეულ ჩვენგანს დასჭირდეს:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარება — 112,
- საპატრულო პოლიცია —112;
- სახანძრო-სამაშველო სამსახური — 01; 011; 275-20-85; 241-17-17; 241-17-72;
- დაცვის პოლიცია: 125;
- გენერალური ინსპექცია — 126;
- ცნობათა ბიურო — 118 -08
- დედაქალაქის მერიის ცხელი ხაზი — 272-22-22;
- ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი — 294-49-11; 294- 34-98;
- სახალხო დამცველის აპარატი — 299-58-98; 292-24-79;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი — 237-69-50; 245-45-33;
- ბავშვის უფლებათა საქალაქო ცენტრი — 299-66-04;
- ამინდის ბიურო — 243-95-31; 245-95-39;
- ყაზტრანსგაზის საინფორმაციო სამსახური — 231-04-04;
- გაზის საავარიო — 04; 274-86-27; 274-89-04;
- თელასის საინფორმაციო ცენტრი — 27-52; 225-52-11;
- თელასის ცხელი ხაზი — 277-99-99; 227-44-11;
- წყალკანალის ცხელი ხაზი — 293-11-11,
- წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური — 248-72-88;
- კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი — 293-11-11;
- აეროპორტის საინფორმაციო ბიურო — 231-04-21;
- რკინიგზის სადგური — 256-35-66; 256-47-60;
- დიდუბის ავტოსადგური „ოკრიბა“ — 234-26-92;
- ნავთლულის ავტოსადგური — 274-83-03; 274-63-23.

ძილი ნებისა, ანუ დილა მშვიდობისა!

მათ, ვისაც ხშირად უძილობა სჭირს, ანდა ძილი არ ჰყოფნის, კარგად იციან ღრმა ძილის, იმ განუმეორებელი გრძნობის ფასი, რომლითაც კარგად გამოძინებული კაცი იღვიძებს. ამასთან, ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ ძილის ოპტიმალური ხანგრძლივობა 7-8 საათია.

ამასთან, თურმე, ყოველი მეოცე ზრდასრული ადამიანი ძილში ლაპარაკობს, მაგრამ ექიმები ამას პათოლოგიად არ მიიჩნევენ. თითქმის ყველანი კი სიზმრებს ვხედავთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სიზმრების სიუჟეტების ოდენობა შეზღუდულია და თორმეტს არ აღემატება, რომელთა შორის ლიდერია დევნის თემა. ყველაზე უკეთ გვძინავს ცელსიუსის 16-19 გრადუსის ტემპერატურაზე. მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ მსოფლიოში ყველაზე ცოტა ხანი სძინავთ იაპონელებს — 5,52 საათი, ყველაზე მეტი კი ახალზელანდიელებს — 7,27 საათი.

უნდა ითქვას, რომ ისინი, ვისაც ღამე 6 საათი და უფრო ნაკლები დრო სძინავთ, ვირუსთან კონტაქტის დროს იმათზე ოთხჯერ უფრო ხშირად ცივდებიან, ვისაც ღამე 7 საათზე მეტხანს სძინავს. საგულისხმოა, ისიც, რომ მამაკაცების სიზმრებში პერსონაჟთა 70 პროცენტი მამაკაცია, ქალების სიზმრებში კი გენდერული თანაფარდობა მეტ-ნაკლებად დაცულია. ამასთან, ხმაურიან გარემოში ძილი იმუნიტეტს აქვეითებს, ხოლო კოშმარული სიზმრები ექსტრემალურ ვითარებათა რეპეტიციებია. ფსიქოლოგთა აზრით, საფრთხეს ძილში გაცნობილი კაცი რეალურ ცხოვრებაში მას უკეთ უმკლავდება. ამასთან, აღმოჩნდა, რომ ძილი აორმაგებს ცოტა ხნის წინათ დავიწყებული ინფორმაციის აღდგენის შანსებს, ხოლო ფხიზლობის ხუთი წუთის შემდეგ სიზმრების ნახევარი მეხსიერებიდან სამუდამოდ იშლება — მათი გახსენება შეუძლებელია. ათი წუთის შემდეგ ეს მაჩვენებელი 90 პროცენტს უახლოვდება.

„ნუ მოჭრი - მორთე!!!“

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით, ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, ახალი კამპანია — „ნუ მოჭრი — მორთე“ დაიწყო. კამპანია ბუნებრივი ნაძვის ხის მოჭრის პრევენციას ითვალისწინებს. სამინისტროს ინიციატივას კერძო კომპანიები შემოუერთდნენ. გუშინ მეტრო „დელისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე წიწვოვანი ხის მორთვა პირველებმა სააფთიაქო ქსელის „პსპ“-ს წარმომადგენლებმა დაიწყეს.

კამპანიას უკვე შემოუერთდა 10 კერძო კომპანია, რომლებიც წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე მდებარე ნაძვის ხეებს საახალწლოდ გააფორმებენ. ახალი წლის დღეების დასრულებისთანავე კომპანიების წარმომადგენლები ნაძვის ხის დემონტაჟს თავად განახორციელებენ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი წინასაახალწლოდ, წიწვოვანი ხეების უკანონოდ მოპოვებისა და რეალიზაციის ფაქტების პრევენციის მიზნით, გააძლიერებს კონტროლს სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, თვითმმართველი ერთეულის ხე-მცენარეების მოპოვების, ტრანსპორტირებისა და მათი რეალიზაციის ფაქტებზე. გამოვლენილ დარღვევებზე გატარდება შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები.

◎ანეკდოტები

მამონტის ჩონჩხი არქეოლოგებმა 20 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს. ეს კიდევ ერთი დამაჯერებელი მოწმობაა იმისა, რომ ათიათასობით წლის წინათ მამონტები სოროებში ცხოვრობდნენ.

* * *

— **ძვირფასო**, ჩემი სოლარიუმის ტალონები ხომ არ გინახავს? — ეკითხება ქერათმიანი მანდილოსანი ქმარს.

— როგორ არა, მე ისინი ღატაკ და უსახლკარო მოსახლეობას დავურიგე!

* * *

ძალმა სამი ტყუპი გოგონა გააჩინა. ამჟამად მედიკოსები იბრძვიან მამის სიცოცხლის გადასარჩენად.

* * *

ხუთი წლის გოგონამ ყველა სათამაშო თავის ზურგჩანთაში ჩააწყო და ბინის კარისკენ გაეგმართა.

— საით გაგიწევია, ჩემო სიცოცხლე? — ეკითხება მამა.

— დედიკო სულ მეჩხუბება, — წაიზლუქუნა პატარამ. — ჰოდა, მეც გადავწყვიტე, ისევ წეროსთან დავბრუნდე და კომბოსტოში ვიცხოვრო!

* * *

— **იცით**, რას გეტყვით, ჩემო ბატონო, ასე ნუ მიყურებთ, მე მარკშეიდერი ვარ!

— მაგის ნუ გეშინიათ, პატივცემულო, თავადაც ვხედავ, რომ ბოსტოღანაშვილი არა ბრძანდებით!

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

დიაგნოსტი... ძაღლები



მსოფლიოს მოწინავე სამედიცინო კლინიკებში სულ უფრო მეტად იყენებენ შინაურ ცხოველებს... ონკოლოგიურ დაავადებათა გამოსავლენად.

უკვე კარგადაა ცნობილი, რომ სათანადოდ გაწვრთნილი ძაღლის საუცხოო ყნოსვის წყალობით შესაძლებელია კიბოს დიაგნოზის დასმა ავადმყოფობის წარმოშობის ადრეულ სტადიაზე. ძაღლების სწორედ ამ თვისებას მედიკოსები ბოლო დროს სულ უფრო აქტიურად იყენებენ: თავდაპირველად ძაღლი პაციენტს ყნოსავს, შემდეგ კი მის „დიაგნოზს“ შესაბამისი ანალიზებით ამოწმებენ.

რით იკვებება კოღო?

ცნობილია, რომ ადამიანთა და ცხოველთა სისხლით მხოლოდ მდედრი კოღოები იკვებებიან, ამიტომაც საინტერესოა — მამრი კოღოები რიღათი „სულდგმულობენ“?

ისინი, თურმე, ისევე, როგორც პეპლები, ფუტკრები და სხვა მწერები მცენარეთა წვენით, ანუ ნექტარით იკვებებიან. მდედრ კოღოს კი სისხლი კვერცხების დასადებად სჭირდება, რასაც სეზონში რამდენჯერმე აკეთებს. სისხლი აუცილებელი ენერგეტიკია, მდედრი კოღოსთვის კი სულ ერთია ვისი სისხლია ეს — როცა დედამიწაზე ადამიანი არც კი არსებობდა, კოღოები დინოზავრებს კბენდნენ. თუკი სისხლი არა აქვს, კოღო პასიურია, სამაგიეროდ, დიდი მოთმინება აქვს და, ადრე თუ გვიან, თავის ულუფას მაინც იღებს ხოლმე.

„კა-პუტინო“, „რეპრესო“ და ა.შ.

დონის როსტოვში ერთ-ერთმა ადგილობრივმა ჯიხურმა კლიენტებს, ყავა „ამერიკანოს“ ერთგვარ საპირწონედ, 90-რუბლიანი ყავა „რუსიანო“ შესთავაზა.

ყავისთვის ახალი სახელწოდების მიცემის აზრი ნოემბერში რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევთან ჩატარებულ თათბირზე გამოითქვა მისი შენიშვნის საპასუხოდ, რომ სახელწოდება „ამერიკანო“ არაპარლიტკორექტურად ჟღერს.

როსტოველი ბიზნესმენები უფრო შორსაც წავიდნენ და კიდევ სხვა სახელებიც მოიგონეს, მაგალითად, 100-რუბლიანი ყავა „კა-პუტინო“. 50-რუბლიანი „რეპრესო“ და 110-რუბლიანი „ვატე“.

ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა შაყირი დაიწყეს, რომ თუკი ვინმე ცუდ „კა-პუტინოს“ მოხარშავს, მერე მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება მხოლოდ „რეპრესოს“ სმა მოუწიოს.

ბრინჯის ქატოს გზები

იაპონიაში გამოიგონეს საავტომობილო გზების ახალი საფარი, რომელიც... ბრინჯის ქატოს წარმოადგენს და, ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში ძლიერ კონკურენციას გაუწევს ასფალტს.

ეპოქსიდურ ფისებთან ქატოს შერევით მიიღება მაგარი, დრეკადი, ხახუნისადმი მდგრადი და ეკოლოგიურად სუფთა მასალა. თანაც ახალსაფარიანი გზა უკეთ შთანთქავს ხმაურს, უფრო მალე შრება და ნაკლებად მგრძნობიარეა ტემპერატურის ცვალებადობისადმი.

რომელია დომინანტი?

მკვლევარებმა გამოარკვიეს, რომ პორნოგრაფიის მოყვარულებს ტვინში... რუხი ნივთიერების შემცველობა დაქვეითებული აქვთ.

სკანირებამ დაადგინა, რომ იმ მამაკაცებს, ვინც პორნოს კვირაში 4 საათზე მეტხანს უყურებდა, ქალა-ტვინში რუხი ნივთიერების შემცველობა, სხვებთან შედარებით, დაქვეითებული აქვთ. ახლა მეცნიერები იმის გარკვევას ცდილობენ, ხელს უწყობს თუ არა რუხი ნივთიერების შემცველობის დაბალი დონე პორნოს სიყვარულს, თუ პირიქით ხდება და სწორედ რუხი ნივთიერების ნაკლებობა განაპირობებს პორნოსადმი სიყვარულს.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5887; ევრო - 2.7474;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2636;
100 რუბლი - 4.1072; თურქული ლირა - 0.7462;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4630;
1000 სომხური დრამი - 5.3861.

ამინდი 14 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -3	დღე +12
მთიანი რაიონები -	ღამე -7	დღე +6
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე 0	დღე +7
თბილისი:	ღამე +2	დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE